# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. ქრონიკის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

---

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**უპრემიოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ.

გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.

**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

---

პირველი წელი | პირველი წელი

„საქართველო"-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან სამ თვეში ერთხელ გამოვა

**კაზმული და სამხატვრო კრებული**

## „მერანი"

**კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი.** ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თიბათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ეღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.

ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს" რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.

**გაზეთ „საქართველო"-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მ ე რ ა ნ ი" უფასოდ დაურიგდებათ.**

---

საგალანტერიო მაღაზია

**ერ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანისა**

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

**იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:**

**ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი**

(101—წ.)

---

**შეშის საწყობი**

**ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა**

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

**ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში**

**საკუთარი ტყიდან**

**საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც**

(103—წ.) ტელეფონი 5—96.

---

საუკეთესო კახური

**ღვინის საწყობი**

**ადამ ზურაბის ძის ბერელაშვილისა**

**მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.**

(102—წ.)

---

**სასტუმრო „ავრორა"**

**ახლად შეკეთებული, მდიდრულად მორთული ნომრებ.**

**უაღრესი სიფაქიზე.** ელექტრონის განათება

**ქალაქის შუაგულში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად**

ნომრები ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებშია.

თვიურ მდგმურებს ფასდაკლებით ეთმობათ.

**სტუმროსთან მოწყობილია სარეცხლო, ვანები თბილი და ცივი წყლით.**

თბილისი, მიხეილის ქუჩა № 5. **ტელეფონი 12—85.**

(წ.—)

---

ქ. ბაქოში

**ღვინით ვაჭრობა „მელაანი"**

**თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.**

**იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები**

(112—წ.)

---

**კახელ მევენახეთა საზოგადოება „კ ა ხ ე თ ი"-ს**

გამგეობა ამით აცხადებს საზოგადოების წევრთა საყურადღებოდ, რომ 1916 წ. 19 **თებერვალს ქ. თელავში,** დილის ათ საათზე დანიშნულია

**ჩვეულებრივი წლიური**

**საზოგადო კრება**

**განსახილველია საგნები:**

1) 1914—15 საანგ. წლ. ანგარიში და მის შესახებ მოხსენება.
2) მიწის შეძენა ქ. თელავში და ს. გურჯაანში.
3) წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლა.
4) 1915—16 საანგ. წლის შემოსავალ-გასავლის სავარაუდო აღრიცხვა.
5) მიმდინარე საკითხები.
6) არჩევნები: გამგეობის თავმჯდომარის, რომელსაც ვადა შეუსრულდა, გამგეობის ერთი წევრისა და ერთი კანდიდატისა, და სარევიზიო კომისიის 4 წევრისა.

**ეს საზოგადო კრება კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, რადგან ინიშნება ნაცვლად ამა წლის 30 იანვრის არ შემდგარ კრებისა.**

(3—3)

---

**„ახალი კლუბი"**

**ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოება**

**პარასკევს, 1916 წ. 19 თებერვალს** „ახალ კლუბის სათეატრო დარბაზში

**კ. ი. დოდაშვილი** წაიკითხავს

**ლექციას**

**მოშაირე მესტვირეები**

**ძველ საქართველოში**

„ვეფხის ტყაოსნის" კითხვის დემონსტრაციით მე-12 და მე-13 საუკუნეში.

**1 განყოფილება.**

სიმღერა-გალობა, მუსიკა და ცეკვა **ძველ საქართველოში.** გალობა მელოდიური და რეჩიტატიული. მუსიკა და სხვა საკრავები. კერპთ-თაყვანის მცემლობის ხანა. ცეკვა და მისი მრავალგვარობა. პლასტიკა. მოგზაური მოშაირე-მესტვირეები და მათი ყოფა-ცხოვრება. შაირი უხსოვარ დროიდან მოგონილი წყობილება ლექსისა, ერთ-ერთი სახე ტონური ლექსწყობისა. ქართული ლექსწყობა.

**2 განყოფილება.**

სახალხო პოეზია სასულიერო მწერლობა. მოგზაური მესტვირე ძაგნაკორელი დაარსება საერო ხელოვნური პოეზიისა მე-11-ე საუკუნის დასაწყისში. დავით აღმაშენებლის ხანა. ჩახრუხა-რუსთაველი და სხვა. ვინ იყო შოთა? რა გვარი წარმოდგენა უნდა ვიქონიოთ მისი. როგორ კითხულობდენ „ვეფხის ტყაოსანს" მე-13-ე და მე-17-ე საუკუნეში.

**3 განყოფილება-**

მეორე განყოფილებაში სიმფონიური ორკესტრი ბ. ლექტორის ლოტბარობით შეასრულებს კ. დოდაშვილის მიერ დაწერილს მე-XII და მე-XIII საუკუნეების ქართველ მუსიკის ნიმუშებს. მომღერალი ორკესტრთან და სტვირთან ერთად წაიკითხავს (მელოდეკლამაცია) ლექსებს ხალხურ პოეზიისა და „ვეფხის ტყაოსნიდან. დასასრულ გაიმართება კამათი ბ. **როზაძიძის, იოს. მაჭავარიანის და სხვათა მონაწილეთა** წაკითხულ ლექციის გამო.

**ადგილების ფასი 2 მ. 30 კაპეიკამდე**

**დასაწყისი სწორეთ ნაშუადღევის $12^1/_2$ საათზე.**

ბილეთები იყიდება ყოველ დღე ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. (3—58—2)

---

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოსის ძე

**კალანდარიშვილი**

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

---

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის** კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

**ახალი აფთიაქი**

**პროვიზორის ახვლედიანისა**

---

**ექიმი-დოსტაქარი**

**გ. მ. მუხაძე**

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. **ტელეფონი № 5—77.**

---

**ექიმი**

**მ. დ. წინამძღვრიშვილი**

**უ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

---

**კბილის ექიმმა**

**მამულაიშვილმა**

**(ხოდნევისამ)**

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

---

**კბილის ექიმი**

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და სალ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

---

**„ახალი კლუბი"**

**ერთი კვირის პროგრამა 15—21 თებრვლამდე 1916 წ.**

**ორშაბათი**—სინემატოგრაფი, სიმებიანი ორკესტრი.

**სამშაბათი**—კონცერტი იტალიანურ ოპერის მომღერალ ქალისა **კარ მენ სოლიარისა** და საიმპერატორო ოპერის ყოფილ არტისტისა **ბერნანდისა.** კონცერტი უფასოა.

**ოთხშაბათი**—სინემატოგრაფი. სიმებიანი ორკესტრი.

**ხუთშაბათი**—ქართული წარმოდგენა. სამხედრო ორკესტრი.

**პარასკევი**—დღისით ლექცია ქართულ კულტურულ საზოგადოებისა. საღამოს სინემატოგრაფი და სიმებიანი ორკესტრი.

**შაბათი**—კონცერტი ახალგაზრდა მომღერალისა **ვარდენ ლორთქიფანიძისა** კონცერტი უფასოა

**კვირა**—სამხედრო ორკესტრი

**დასაწყისი:** კონცერტებისა სალ. 9 საათ., წარმოდგენისა და სინემატოგრაფისა სალ. 8 საათზე.

კლუბში შესასვლელი ფასი ჩვეულებრივია, მხოლოდ სამშაბათს და შაბათს იხდიან: მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმაში) 65 კ. მამაკაცისა 1—05 კ.,

(6—57—4)

---

**კოოპერატივი „მ ე უ რ ნ ე"-სათვის**

**დაუყონებლივ საჭიროა**

**მაღაზიის გამგე და გამოცდილი ორი ნოქარი**

თხოვნასთან ერთად სასურველია წარმოდგენა რეფერენციისა, „სახალხო ფურცლის" რედაქციაში თევდორე ღლონტთან, „საქართველო"-ს რედაქციაში შალვა ქარუმიძესთან დილის 10—3 საათამდ. საღამოობით კი ივ. ნიკ. ზედგინიძესთან, გუნიბის ქუჩა № 44.

(2—59—1)

---

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

17 თებერვალი.

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. დვინის მიდამოებში, სოფ. გორბუნოვკის მახლობლად და პონევეჟის რკინის გზის სამხრეთით, რუსის ჯარმა გერმანელები დასძრა და ცოტა წინ წაიწია. ილზენისა და მედმუსის ტბებს შუა და უკანასკნელის სამხრეთით გერმანელები მჭიდროდ დარაზმულნი წამოვიდნენ რუსების სანგრებისაკენ, მაგრამ ძლიერის სროლით უკუაქციეს.

შავ ზღვაზე რუსის ნაღმოსანმა ზარბაზანი დაუშინა ზღვის სანაპირო გზით მიმავალ დასაპალნებულ ქარავანს.

**კავკასიის ასპარეზი.** ოსმალეთის მთავარი ბანაკი 8 თებერვლის თარილით აცხადებს ოსმალეთის ჯარის უკან დახევას აზრუმიდან, რომლის დროსაც არავითარი ზარალი არ მოსვლიათ. აზრუმის სიმაგრეში მათ დაუტოვებიათ მხოლოდ 50 ძველი ზარბაზანი, რომლის წაღებაც შეუძლებელი იყო. ოსმალეთის მთავარი შტაბი უარჰყოფს, რუსების მიერ გავრცელებულ ხმებს, ვითომც აზრუმთან 1000 ზარბაზანი და 80 ათასი მეომარი ეგდოთ დავლად. ახრუმი, ნამდვილი რომ ითქვას, სიმაგრეთაც არ ჩაითვლება, ეს არის ქალაქი გალავნით გამაგრებული, რომელსაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო. ამის გამო მთავარსარდლის შტაბი საჭიროდ სცნობს განმარტოს: აზრუმი ერთად-ერთი გამაგრებული ადგილია ოსმალეთის აზიის ნაწილში, რომელიც სდარაჯობს სომხეთსა და ანატოლიას და ამიერ კავკასიიდან შიდა აზიაში მიმავალ საუკეთესო გზებს. აზრუმი გერმანელების ხელმძღვანელობით იყო გამაგრებული, აზრუმის სიმაგრეებზე იერიშები 28 იანვარს დაიწყებს და 2 თებერვალს უკვე აიღეს. რუსებმა ხელთ იგდეს 197 გამოსადეგი ზარბაზანი სხვა და სხვა ყალიბისა, ციხის შიგნით კი 126 ზარბაზანიც დახვდათ. აქ ტყვედ ჩაიგდეს 235 აფიცერი და 12,750 ჯარისკაცი.

---

**პარიზი,** დილის ცნობა. ვერდენის ჩრდილოეთით მაასის აღმოსავლეთ მიდამოებში მეტად ცხარე და თავგანწირული სროლაა ზარბაზნებისა. მოპირდაპირემ ღამე რამდენჯერმე განაახლა მედგარი იერიშები სოფ. დუომონის მიდამოებში, სადაც საქმე ხშირად ხელჩართულ ბრძოლაზე გადადიოდა. ვევრში გერმანელებმა ძლიერის ზარბაზნის სროლის შემდეგ მოახერხეს სოფ. მანგელის აღება. ფრანგებმა ამ სოფლის დასავლეთის ტყის პირი დაიბრუნეს, რომელსაც კვლავ ზარბაზანს უშენენ. ლორანში მტერმა დაიპყრა ფრანგების წინ წაწეული სანგრები, მაგრამ მალე განდევნეს.

**ბუქარესტი.** მინისტრ-პრეზიდენტმა ტისამ განაცხადა: „ჩვენ არა თუ საკუთარის ძალღონით შევძლიან გაუძლვეთ შიმშილობას, პირიქით გერმანეთის გამოკვებაც შეგვძლებია. გერმანეთისთვის უმჯობესი იქნებოდა თუ მთელს ქვეყანას დაანახვებდა, რომ მას თავისი თავის გამოკვება ყოველთვის შეუძლიან".

**ქრისტიანია.** სამინისტრომ დაადგინა, 10 მილიონი კრონი მოითხოვოს სტორტინგისაგან ნეიტრალობის დასაცავად.

**პარიზი.** საღამოს ცნობა. დიუმონის სიმაგრის დასავლეთით ფრანგებმა ხელჩართული ბრძოლით მოპირდაპირე პატარა სადარაჯოდან განდევნა. ვევრში მოპირდაპირემ ორი უნაყოფო იერიში მოიტანა. ლორენში ზარბაზნების სროლა იყო რეილონის, დომევრის და ბადონვილეს მიდამოებში.

**ჰავრი.** ბელგიის მთელ ბრძოლის პირზე სუსტი სროლა იყო ზარბაზნებისა.

**პარიზი.** ვოლფის სააგენტოს ცნობა დუმონის აღების შესახებ, პალატის კულუარებში გუშინ დღისთ მოიტანეს და დიდი მღელვარება გამოიწვია, თუმცა მერე მიღებულმა ცნობამ დააშვიდა ყველანი, დიუმონი აღებული არ არისო.

---

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ვინ მოიგებს ომს?**

გაზ. „დეილი ტელეგრაფ"-ი სწერს: რუსეთ-ინგლისის აღებ-მიცემობის გასაფართოვებლად საჭიროა: რუსულად მოლაპარაკე წარმომადგენლების გამრავლება, 2) რუსის ვაჭრებისათვის ნისიად საქონლის ძლევა.

ამის თაობაზე „ნ. ვრ." სწერს: გერმანელი სავაჭრო ფირმები 6—12 თვით თითქმის ყოველს ვაჭარს ნისიად ანდობენ საქონელს. ინგლისელები კი თხოულობენ, ჯერ ინგლისის ბანკში 10 ათასი გირვანქა სტერლინგის სარგებლიანი ქაღალდები დააწყეთ და მერე ნისიად ინებეთ 10 ათასი გირ. სტერლინგის საქონელიო. სანამ ინგლისელები ამ გზას ადგიან, გერმანელები მუდამ დასჯაბნიან ამ საქმეში.

გერმანელების მოგზაურ ნოქრების (კომივოიაჟერი, Handelsreisende) ყრილობაზე ტყუილად კი არ იყო ნათქვამი: 1870 წელს ომი სოფლის მასწავლებელმა მოიგო, 1914 წლის ომს კი მოგზაური-ნოქრები (კომივოიაჟორები) მოიგებენო".

### ახალი ჟურნალი.

შუაგულ ევროპის სახელმწიფოთა მომხრეებმა გამოსცეს ახალი ჟურნალი „ძალთა შემაკავშირებელი სამეურნეო გაზეთი“ (Wirtschafts-Zeitung für Zenfiralmäche“). პირველი ნომერი ჰმოწმობს, რომ ჟურნალს ფართე მიზანი დაუსახია. ჟურნალს ოთხი რედაქტორი ჰყავს: გერმანელი, უნგრელი, ავსტრიელი, ბულგარელი და ოთხი გამომცემელი: გერმანელი, ავსტრიელი, ბულგარელი და ოსმალო. ჟურნალი ერთ დროს გამოვა ბერლინში, ვენაში, ბუდაპეშტში, სოფიაში და სტამბოლში. ჟურნალში, სხვათა შორის, მოთავსებულია უნგრეთის სამინისტროს სტატს-სეკრეტრად ნამყოფ იოსებ სეჩენის წერილი, სადაც ავტორი ამბობს: ომის დასრულების მერე, გერმანეთი ყოველის ღონით შეეცდება კვლავ დაიბრუნოს ოკეანეს გაღმა ბაზრები და ამერიკის შეტოქეობა დაჩრდილოსო.

### იაგოვის აზრი.

გერმანეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა იაგოვმა, როგორც „ტაიმს“-ი გადმოგვცემს, განუცხადა ნიუ-იორკის გაზეთ „World“-ის თანამშრომელს: გადაჭრით ვაცხადებთ, რომ ყოველ შეიარაღებულ სავაჭრო გემს დამხმარე კრეისერად ვთვლით და შესაფერადაც მოვექცევითო.

### სოლუნთან.

„Dimineale“ იტყობინება: სალონიკში გრძელდება გადმოსხმა მრავალრიცხოვან ჯარისა. უკანასკნელ დღეებში გადმოსხეს 30,000 ინგლისელი, გადმოყვანილი საფრანგეთ-გერმანიის ფრონტიდან. მოტანილია აგრეთვე 9,000 ტყვიისმფრქვეველი.

### კრონპრინცის გამგზავრება სოფიაში და კონსტანტინეპოლში.

მიღებულია ცნობა, რომ კრონპრინცი მარტში აპირობს, ინახულოს სოფია და კონსტანტინოპოლი. მოჰყავს რა ეს ცნობა გაზეთ „Estia“-ს მიაჩნია ამით გერმანიის უძლურება და სოლუნზე იერიშის მიტანის შეუძლებლობად, რის გამოც გერმანია ცდილობს ოსმალეთი და ბულგარეთი აიძულოს ახალ მედგარ ბრძოლისთვის ბალკანეთში. გერმანელებმა გაიტანეს ყოველივე სანოვაგე ოსმალეთიდან და ბულგარეთიდან, რის გამოც ფასები ფრიად აიწია.

### დაჭრილი გერმანელები.

ჰააგიდან იტყობინებიან, რომ 2,400 გერმანელი, მძიმედ დაჭრილი იზერთან ბრძოლაში, ჩაუყვანიათ ბრუჟში. განუწყვეტლივ მოდიან გერმანიაში მატარებლები სავსე დაჭრილებითა.

### „Yestburn“-ის დაღუპვა.

ლლოიდის სააგენტოს ტელეგრამით ატყობინებენ კუნძულ ტენერიფიდან, რომ გერმანელთა მოდარაჯე გემმა, რომელმაც დაატყვევა ბრიტანიული გემი „Vestburn“-ი, გაიყვანა იგი შუა ზღვაში და დაჰლუპა.

### სერბეთის მმართველნი.

ფრონტზე სიმშვიდეა. გადმოჰყავთ დიდძალ. ტრანსპორტებით, ფრანგთა ჯარები და გადმოაქვთ სამხედრო მასალები. სერბეთის სახელმწიფო იმყოფება ორი გუბერნატორის მართველობის ქვეშ: სამხედრო—გრაფი სალის-ზევისა და სამოქალაქო—ტელეშის. ბელგრადი სავსეა უნგრელებით, რომელნიც მდიდრდებიან საეჭვო სპეკულიაციებით, რის გამოც საშინელი ძვირობაა. გამარჯვებულთ ჩამოუყვანიათ თავიანთი ოჯახობანი და ჩაუსახლებიათ მცხოვრებთა მიერ დატოვებულ სახლებში. რკინის გზის მსვლელობა თითქმის ყველგან აღდგენილია.

## ბრძოლის ველზე

ვერდენი დღეს ყველას ყურადღებას იპყრობს. მისი აღებით პარიზისკენ მშვენიერი გზა ეხსნება გერმანეთის ჯარს და რაც 1914 წლის აგვისტო-სექტემბერში ვერ შესძლო, იმის მიღწევა ჰსურს ვერდენის ოპერაციების დაწყებით. გერმანელების იერიში თავგანწირულებისა და შეუდრეკელობის იშვიათ მაგალითს წარმოადგენს. კერძო დეპეშების ცნობით გერმანელებს აუღიათ ვერდენის ჩრდილოეთის სიმაგრე დიუმონი. მთელი საფრანგეთი დიდის გაფაციცებით ადევნებს თვალყურს ვერდენის ბრძოლას. მას ერთგვარი მღელვარება და ნერვიულობა ემჩნევა. საფრანგეთისთვის კვლავ დადგა საშიში და სახიფათო დრო.

რუსეთ-გერმანეთის ფრონტზე გასულ დღე და ღამის განმავლობაში თვალსაჩინო არაფერი მომხდარა. არც კავკასიის ფრონტზე ჰქონია ადგილი რაიმე ყურადღების ღირს მოქმედებას.

**მეგრი.**

## თბილისი, 18 თებერვალი

**სათათბიროს სხდომები და ძველი შაბლონი**

ომმა შესძრა მთელი რუსეთი ისე, როგორც დანარჩენი ქვეყნებიც. უზარმაზარი სახელმწიფოს ყრუ და დახშული სოფელი ომს ეზიარა, და განიცადა მის შედეგები. პირველად დაირღვა რუსის საზოგადოებაში დამკვიდრებული შაბლონი საზოგადოებრივი გრძნობის, მისწრაფებისა და ენერგიის სფეროში. ომის პირველმა თვეებმა გარდატეხეს სულიერი ყოფა რუსის საზოგადოებისა და შექმნეს ახალი მეტყველება, ახალი ლექსიკონი. თითქოს გადახალისდა, გრძნობა გამოიცვალა და განახლდა მისწრაფება, თითქოს ახალი გზა მიეცა კოლექტიურ ენერგიას. საერთოდ, რუსის შემდგარ სულს ახალმა სიომ გადაჰკრა და შეატორტმანა. რუსეთი დაემზგავსა სხვა დიდ ქვეყნებს, დიდ ერებს, რომელთაც მუდმივ ახასიათებდა მოძრაობა, ძიება, მოქმედება და შეუჩერებელი განახლება. სხვანაირი იყო ამ ხანებში სიტყვა დიდი მინისტრისა თუ საშუალო დეპუტატისა, თუ უკანასკნელი მოქალაქისა. სხვანაირი გახდა თითოეულის საქმიანობაც. რუსის ეს ახალი ტემპერამენტი უკლებლივ გამოცხადდა სახელმწიფო სათათბიროს იშვიათ სხდომებზე. ამ მხრივ ყველაზედ დამახასიათებელი გასული წლის ივლისის სხდომა იყო. მართალია, ახალი საიმედო ძალა არ გამოჩენილა, არავინ შეუთხზავს ახალ გარემოებას და უცნობი ცნობილად არ გაუხდია. იმპროვიზაციას ადგილი არა ჰქონია, მაგრამ ძველებმა მოახერხეს ერთგვარის იერით ახალი ღვინო ძველ ტიკში ჩაესხათ და იმ ხანებში ესეც საკმარისი იყო მას აქედ მთელმა ევქსმა თვემ განვლო. და ამ ხნის განმავლობაში რუსის ამოქმედებული ბუნება, დასცხრა. განცდის და გრძნობის სიმახვილე დაჩლუნგდა. შემოქმედებისა და თვითმოქმედების უნარი განელდა. არა სჩანს ახალი სიტყვა, ახალი საქმე, დიდი მისწრაფება, დიადი გრძნობები. ომმა დაჰკარგა შემომქმედი სტიმულის მნიშვნელობა. ასეთი საერთო სულიერი მდგომარეობა გამოითქვა სახელ. სათათ. მიმდინარე სხდომებზე. შტიურმერის სიტყვა მკრთალი და უფერული განმეორება იყო გორემიკინის ენერგიული სიტყვისა, რომელიც 1915 წლის ივლისის სხდომაზე წარმოითქვა; ამ წლის თებერვლის მილიუკოვი გასული წლის ივლისის მოქანცული მილიუკოვი იყო და ასე მთელი სათათბირო. თითქოს სათქმელი არა იყო, თითქოს მასალა აკლდათ. ორატორებში ახალი აზრი არ მოსჩანდა, რომელიც ახალ ცეცხლის სიტყვას წარმოათქმევინებს ხოლმე საზოგადო მოღვაწეს იშვიათ განცდის ხანაში. არ იყო გრძნობის, აზრის, სიტყვის აღმაფრენა. ომმა თითქოს დაჰკარგა სიახლის შემქნელი თვისება და კვლავ შაბლონი გამეფდა რუსის საზოგადოების გრძნობის, მისწრაფების და ენერგიის მიმართულებაში. რუსეთი და სხვა ქვეყნები ერთმანეთს დაშორდნენ.

---

**რუსეთის ბიუჯეტი და ეკონომიური მდგომარეობა.**

16 თებერვალს სახელმწიფო სათათბიროში საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ამხანაგმა ფირსოვმა რუსეთის ბიუჯეტისა და ქვეყნის საერთო ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ მოხსენება წარმოადგინა. მოხსენებიდან სჩანს, რომ მიმდინარე წელში რუსეთის სახელმწიფო საბიუჯეტო ბალანსი სამ მილიარდ ნახევარს აღემატება. ეს, სახელმწიფოს ჩვეულებრივი ხარჯთაღრიცხვა, მოსალოდნელი იყო, თუ მხედველობაში მივიღებთ რუსეთის ბიუჯეტის სისტემატიურ ზრდას უკანასკნელ წლებში. თვით შემოსავალგასავალში დიდი ცვლილება მოხდა იმით, რომ წარსულ წელში მთავრობამ გააუქმა არაყით ვაჭრობა, რამაც ხაზინის შემოსავალი ექვსას მილიონ მანეთზე მეტათ შეამცირა. ამ დანაკლისის ასანაზღაურებლად საჭირო შეიქმნა ყოველგვარი გადასახადების გადიდება და ახალი გადასახადების შემოღება. ამ ზომებმა ვერ შესძლეს საბიუჯეტო ბალანსის გასწორება და მიმდინარე წელში რუსეთის ბიუჯეტის დეფიციტი თითქმის ნახევარ მილიარდს უდრის. დანაკლისი დაფარული იქნება საკრედიტო ოპერაციებით.

უფრო საგულისხმოა მოხსენების ის ნაწილი, რომელიც ომით გამოწვეულ ხარჯებსა და რუსეთის ეკონომიურ მდგომარეობას ეხება. საომარი ხარჯები სწარმოებს უმაღლესი მმართველობის წესით და საკანონმდებლო დაწესებულებებს არ ექვემდებარება. წარსულ 1915 წელში სამხედრო საჭიროებებისათვის რუსეთს გაუღია რვა მილიარდი მანეთი, მიმდინარე წლის ხარჯები კი, თუ ომი გაგრძელდა, ნავარაუდევია თერთმეტ მილიარდ მანეთად. ამ რიგად ომის მიერ გამოწვეული ხარჯები, თუ მივიღებთ მხედველობაში კიდევ 1914 წ. ხარჯებს, ოცს მილიარდ მანეთს დიდად გადააჭარბებს. საშინელია ეს ციფრები ისეთი ეკონომიურად ღარიბი სახელმწიფოსთვის, როგორიც რუსეთია. ეკონომისტების გამოანგარიშებით მთელი რუსეთის სიმდიდრე ორმოც მილიარდს თუ უდრის და ამ საშინელ ომის შემდეგ ომამდისაც დიდად დავალიანებულ რუსეთს თითქმის იმდენივე ვალი ექმნება, რამდენიც სიმდიდრე. და ამას შემდეგ არ არის გასაკვირველი, რომ რუსეთმა ამ საშინელი განსაცდელისთვის უკანასკნელი თვისი ძალები არ დაიშუროს.

საშინელია ის ცვლილებები, რომელიც მოახდინა ომმა რუსეთის ეკონომიურ ცხოვრებაში, სახიფათო და საშიშია ის პერსპექტივები, რომელსაც მას უქადის ომის არა სასურველათ დაბოლოვება. რუსეთი სამეურნეო ქვეყანაა და მისი პური ნახევარ ევროპას კვებავდა. ამ ომის განმავლობაში პურის გაზიდვა არ მოხერხდა და ამის მიუხედავათ რუსეთის ზოგიერთ ნაწილში ნამდვილი შიმშილობა იყო და ხორბლის ფასებმა ხომ ყოველგან საოცრათ აიწია.

ეხლა კი სახელმწიფო სათათბიროს ამცნობენ, რომ ამ წელში რუსეთში თითქმის სამ მილიონ დესეტინით ნაკლები ყანები დაითესა: ვაჭრობა და მრეწველობის მდგომარეობა ხომ კიდევ უარეს მდგომარეობაშია. რუსეთის მრეწველობას სავსებით ახასიათებს ის მოვლენა, რომ მარტო გაუმჯობესებული მანქანები, არამედ ისეთი მრეწველობის სხვა და სხვა დარგებში მოსახმარი ნივთიერებანი, რომელთა დამუშავება ყოველგან შეიძლება, რუსეთის მრეწველობისთვის უცხო ქვეყნები ამზადებდა. ამით აიხსნება, რომ ამ ომის დროს შეჩერდა თუ შემცირდა მთელი წარმოებები სულ უბრალო საგნების უქონლობის თუ შემოკლების გამო.

უსაბუთოდ აიმედებს რუსეთს სახელმწიფო ბიუჯეტის მომხსენებელი, რომ მრეწველობის შემცირების და შეფერხების კომპენსაციათ ის უნდა ჩაითვალოს, რომ სამხედრო უწყება საჭირო ნივთებში დიდ ფასებს იძლევაო. ეს ერთგვარ კომპენსაციად ჩაითვლებოდა მხოლოდ მაშინ, რომ ქაღალდის ფული თავის თავად რაიმე სიმდიდრეს წარმოადგენდეს და მრეწველობის მიერ შექმნილ ქონების მაგიერობის გაწევა ხაზინიდან გამოღებულ თამასუქებს შეეძლოს.

## დეპეშები

(„საქართველო“-ს საკუთარის კორესპონდენტებისაგან).

კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის ჯარის მთავარსარდლობა სანდერს ჩააბარეს. ოსმალეთის ჯარი გერმანელების ორი კორპუსით შეავსეს.

—

გერმანელები ზარბაზნებს უშენენ და იერიშით მიდიან ვერდენის მოწინავე სიმაგრეებზე, ჯერჯერობით გერმანელებმა აიღეს ვერდენის ერთი ჩრდილოეთით მდებარე სიმაგრე დიუმონი.

—

ინგლისელი სამხედრო მიმომხილველი სარწმუნო წყაროებიდან იტყობინება გერმანელთა ჯარის საერთო რიცხვი დასავლეთ ფრონტზე ამ ჟამად 118 დივიზიაა. აქედან 25 დივიზიას ხელმძღვანელობს ვილჰელმის მემკვიდრე, რომელსაც ეს ჯარი ვერდენისკენ მიჰყავსო.

—

უცხოეთის გაზეთების ცნობით მთაშავეთის მეფეს ნიკოლოზს ავსტრიის მეფისთვის პასუხი არ გაუცია. ავსტრიის მთავრობას გარდაუწყვეტია, მთაშავეთს ისე მოეპყრას, როგორც დაპყრობილ ქვეყანას.

—

ავსტრიის ჯარს ალბანეთში შესვლისას დიდი გაჭირვება გამოუცდია; ამ გაჭირვებას ის უფრო ართულებდა, რომ გზა და გზა დახოცილთა გახრწნილი გვამები ეყარა, საშინელ სუნით იწამლებოდა ჰაერი და ჭირს აჩენდა.

—

თავსატეხ საკითხად გარდიქცა, თუ გერმანეთი რომელ მხარეს აპირობს გადამწყვეტ ბრძოლას. ზოგიერთ წრეებში ფიქრობენ, რომ ვერდენისკენ გალაშქრება მხოლოდ დიდი დემონსტრაცია არისო. გერმანეთი ბუკოვინის მხარეს მრავალ ჯარს უყრის თავს.

—

გერმანეთის ელჩს პირდაპირ განუცხადებია საბერძნეთის მთავრობისთვის: თავი დაანებე ავსტრიის, გერმანეთის და ოსმალეთის წინააღმდეგ აგიტაციას და პირ ახდილად მიემხარ გერმანეთის კავშირს, თორემ შემდეგ გვიან იქნებაო.

—

ოსმალეთის ჯარი გერმანელთან ერთად კავკასიისკენ მაშინ გამოეშურება, როცა ერთად თავს მოიყრიან [illegible]

—

ვერდენთან ბრძოლაში გერმანელს დიდი ზარალი მოსდით. ვილჰელმის მემკვიდრის ჯარი, საფრანგეთის მთავრობის ცნობით, თითქმის განახ[ევრ]და, მაგრამ მაინც მედგარ იერი[შზე] გადადიან.

—

როდესაც სახელმწიფო სათათბიროში სამხედრო ცენზურის კანონ-პროექტის შესწორებას კენჭს უყრიდნენ პროგრესიულ ბლოკის წევრებს განხეთქილება მოუვიდათ და გაიყვნენ.

## ახალი ამბავი

**ჩვენმა რედაქციამ გუშინ პარიზიდან სასიამოვნო დეპეშა მიიღო: თედო სახოკია რუსეთის მთავრობამ გაანთავისუფლა და ნება დართო საქართველოში დაბრუნებისა.**

✦ **საჩხერის სადგურიდან 5 ვერსის მოშორებით საუცხოვო ქვანახშირის მადანი აღმოჩნდა, რომელიც ღირსებით დონის ქვანახშირს უდრის.**

✦ **სასახლეში.** 16 ამა თვეს, საღამოს 5 საათზე, ქალაქის საბჭოს დავალებით მოურავი ა. ი. ხატისოვი მეფის ნაცვალს წარუდგა, რომელმაც მოახსენა ქალაქის გაჭირვება სურსათ-სანოვაგის სიმცირის მხრივ და სთხოვა ბრძანების გამოცემა, პირველ საჭიროებათა საქონლის მოსაზიდად შესაფერისი ღონისძიების მისაღებად, მეფის ნაცვალმა ბძანა, თანაგრძნობით ვეგებები ქალაქის თვითმართველობის შუამდგომლობასო.

✦ **თათბირი სკოლების შესახებ.** გუშინ, 17 ამა თვეს, ქუთაისიდან თბილისს ჩამოვიდა დასავლეთ საქართველოს სახალხო სკოლების დირექტორი ბ-ნი ვიშნიოვსკი და ლაპარაკი ჰქონდა კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსთან ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მიერ აჭარაში დაარსებულ სკოლებში სწავლების შესახებ. ამავე საგნის შესახებ გუშინვე, საღამოს 7 საათზე, მზრუნველის კანცელარიაში, ბ-ნ მზრუნველისავე თავჯდომარეობით და ბ-ნ ვიშნიოვსკის თანადასწრებით, თათბირი მოხდა, რომელზედაც მიწვეული იყვნენ აღნიშნულ საზოგადოების მთავარ-გამგეობის წევრნიც.

✦ **ვაზის წამალი.** დასავლეთ საქართველოს წვრილ საკრედიტო დაწესებულებათა ორგანიზაციამ 40.000 ფუთი შაბიამანი შეუკვეთა მოსკოვის სახალხო ბანკს და 40.000 მანეთი ბე გაუგზავნა. დაკვეთილ შაბიამანიდან 20.000 ფუთი უნდა განაწილებულიყო შორაპნის მაზრაში, ხოლო დანარჩენი 20.000 მანეთი სხვა კუთხეებში. შაბიამანმა დაიგვიანა და ამიტომ ამბის დანამდვილებით გასაგებად მოსკოვს

# სოფლად

„დავდივარ სოფლად და ველად
გაჭრილი ვიკვლევ ობლად მიტოვებულსა სოფელსა ოხრად“.

**სამამასახლისოების შეჯგუფება.—მოხელეების მოქმედება და მათი დახასიათება.—ეკლესიები.—გლეხების ზნეობრივი და ფიზიკური დაცემა.—სკოლები.—ჟურნალ-გაზეთების გავრცელება.—სიძვირესთან ბრძოლა.—გომის ალებ-მიცემობა.**

ყველა ჩვენგანი—მცხოვრებელნი სოფლად—დამოკიდებულნი ვართ სასოფლო საადმინისტრაციო და სამოსამართლო მმართველობასთან და—მით უმეტეს—ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს, როდესაც რაიმე ცვლილება შეაქვთ სასოფლო საადმინისტრაციო და სამოსამართლო მმართველობაში.

დღეს სამამასახლისოებისა ხელახალი შეჯგუფება მოახდინეს. გორის მაზრის საადმინისტრაციო კომისიამ, სადაც ყველა მომრიგებელ-შუამავალნი იღებდნენ მონაწილეობას, სამამასახლისოების ხელ-ახალი შეჯგუფება დაადასტურა.

რამდენად შეეფერება ეს შეჯგუფება სამამასახლისოებისა დავინახავთ ქვემოდ. მხოლოდ ვიტყვით, რომ ეს მიაგავს იმ ერთ ჯურ ბანქოს მოთამაშეებს, რომელნიც სათამაშო ქაღალდს აწყობენ და იმ მოპირდაპირე გულუბრყვილო ქაღალდის მოთამაშეს ამ ჩაწყობილ ქაღალდს გადუშლიან ხოლმე. სწორედ სოფლებიც ასეა ჩაწყობილი და შემდეგ შეჯგუფებული სხვა და სხვა საზოგადოებად გამოაცხადეს.

ადრევეც მქონდა აღნიშნული და ეხლაც ვიმეორებ, რომ ოქონის საზოგადოებაში სოფ. თამარაშენი უნდა შეეტანათ, რადგან მასთან უფრო დაკავშირებულია ყოველ-მხრივ: ეკლესიასთან—ავლევის სამრევლოს ეკუთვნის—ავლევის სკოლასთან, სასოფლო ავლევის ბანკთან, საფერშლო პუნკტთან, ავლევის კოოპერატიულ სამეურნეო ამხანაგობასთან, რომელიც უკვე არსდება, სოფ. ცერონისის, ავლევის, კნოლის და ოქონის მემამულეებთან, რადგან მათი მამულები საღალო და საიჯარო აქვთ აღებული.

რაც შეეხება სასოფლო კანცელარიაში სიარულს, ბერძენაულის კანცელარიაში—ოქონისაში ურჩევნიათ.

სოფელმა თამარაშენმა ბ-ნ მომრიგებელ შუამავალთან თ-დ გ. ნ. ვეზირიშვილთან ბევრჯელ აღძრა ამ საკითხზედ თხოვნა, მაგრამ უყურადღებოდ იყო დატოვებული, ბოლოს წერილობითი თხოვნაც მიართვა და ეს თხოვნაც სადღაც ჯიბეში ჩაიდო, არც კი წაიკითხა.

ბ-ნი მომრიგებელ-შუამავალი თ-დ ვეზირიშვილი გასამართლებლად იმას ამბობს, რომ კომისიამ ეგრე გადასწყვიტა და ალარაფერი შემიძლიანო. რამდენად მართალია ეს, ამას არ შევეხები, მაგრამ შუამავალი კი მოვალე იყო კომისიის სჯა-ბაასის დროს თამარაშენელების თხოვნა დაესაბუთებინა და კომისიისთვის შეეწყნარებინა.

—

ახლა გადავიდეთ ყორნის—წუნარის სამამასახლისოების შეჯგუფებაზედ.

ყორნისის საზოგადოებას უერთდება წუნარის საზოგადოება რამდენიმე სოფლის გამონაკლისად და სასოფლო კანცელარია არსდება სოფ. არკნეთში. წუნარის საზოგადოებიდან გამოჰყვეს სოფ. ავნევი და დვანი, მიაწერეს შინდისის საზოგადოებას.

ყველას კარგათ მოეხსენება გეოგრაფიული მდებარეობა სოფ. ავნევისა და დვანის მანძილი შინდისთან. სოფ. ავნევი დაშორებულია არკნეთთან ოთხის ვერსით, სოფ. დვანი—7 ვერსით. ავნევი და დვანი ჰშორავს შინდისზედ 12 ვერსით.

მასთანვე სოფ. ავნევის მცხოვრებელი შინდისისაკენ უნდა გაიაროს სოფ. ავნევის ტილიანაზედ, ან დიდ-მუხაზედ. აგრეთვე დვანიც,—უნდა გაიაროს სოფ. მუგეთზედ. ეს სოფლები კი ავნევის ტილიანა, დიდ-მუხა და მუგეთი უნდა სარგებლობდნენ არკნეთის კანცელარიით, როდესაც სოფ. ავნევი და დვანი უფრო დაახლოვებულია არკნეთთან.

რა მოსაზრებით სოფ. ავნევი და დვანი მიაწერეს შინდისის საზოგადოებას, გაუგებარია. მხოლოდ ვიტყვი იმას, რომ ახლად შეჯგუფებული არკნეთის საზოგადოებაში სულ ოსობაა დასახლებული. ორად ორი სოფ. ნული და არკნეთი შედის ამ არკნეთის საზოგადოებაში, სადაც ქართველები ცხოვრობენ და ითვლება 80 კომლამდის.

ეს ორად-ორი სოფ. ნული და ავნეთი ობლად უნდა იყოს 1210 კომლოსებში, სადაც არვნეთის კანცელარიაში რუსულ და ოსურ ენაზედ უნდა იყოს წარმოება.

აი ამიტომა—მით უფრო—საჭიროა, რომ სოფ. ავნევიც (დვანი უფრო დირბის საზოგადოებას ეკუთნის) შედიოდეს ახლად დაარსებულ არკნეთის საზოგადოებაში.

სოფ. ავნევმაც და დვანმაც ბევრჯელ ითხოვეს, რომ შინდისის საზოგადოებაში არ შეეტანათ, მაგრამ ბ-მა შუამავალმაც თ-დ მ. რ. ერისთავმაც არავითარი ყურადღება არ მიაქცია მათ თხოვნას.

მაინცა და მაინც დირბის საზოგადოებაზედ უნდა მიეწერათ ავნევი და დირბი, რადგან მცხოვრებთა რიცხვი აქ უფრო ორჯელ ნაკლებია, ვიდრე არკნეთის საზოგადოებაში.

—

როდემდის უნდა იყოს სოფლის მცხოვრებლების ასე აბუჩად აგდება?

მოხელეები, ადმინისტრაცია და სხვა დაწესებულებანი ემსახურებიან სოფლის კეთილ-დღეობას. მათ ხელშია სასწორი სოფლის წარმატებისა და ამისთანა მნიშვნელოვან დროს სასწორი უნდა იხრებოდეს სოფლის მცხოვრებლებისაკენ და არა სხვა რაიმე მოსაზრებით სასწორი გადაჰხარონ სხვა მხარეს.

და ამ სხვა რაიმე მოსაზრების გამო სოფელი უნდა იტანჯებოდეს შეუფერებელის მართვა-გამგეობის მოწყობილობით.

როდესაც რომელიმე ხიმიკოსი იკვლევს ნივთიერებას ან აერთებს რამდენიმე ნივთიერებას ერთად, მას ყოველივე გამოანგარიშებული და აწონილ-დაწონილი აქვს და თავის საქმეს დინჯად—ბრძნულად ასრულებს.

აგრეთვე ყოველივე მოხელე ამისთანა უაღრეს შემთხვევებში ბრძნულად—დინჯად უნდა სწყვეტდეს სასოფლო მმართვა—გამგეობის ფუნქციებს, რომ სოფლის საბოლოოდ საზარალოდ არ დარჩეს.

ჩვენ ამისთანა მოხელეებს ვერა ვხედავთ სოფლად და სოფელი ყველას აბუჩად ჰყავს აგდებული. აი ამაზეა ნათქვამი: „სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხო“.

სოფელს თავ-გამომდები არავინა ჰყავს და, თუ მოსარჩლედ მივიღებთ მხედველობაში მოხელეს, როგორც შეეფერება მის დანიშნულებას, შეცდომაში შევალთ, რადგან დღეს სოფლის მოხელეები მათ სამტროთაა გამოსული და, აი, სწორეთ მათ წინააღმდეგ სოფელს არავინა ჰყავს დამცველად.

—

შეუდგეთ ახლა, როგორ არის დანაწილებული ხელ-ახალი სამამასახლისოების შეჯგუფება. მე შევეხები შვიდ საზოგადოებას: ალის, აბისის, ატოცის, ოქონის, ღირბის, წუნარის და ყორნისის.

ატოცის საზოგადოება დაიშალა და და გადავიდა სოფლები ზოგი ოქონის საზოგადოებაზედ, ზოგი ალის საზოგადოებაზედ და ზოგიც აბისის საზოგადოებაზედ.

**ოქონის საზოგადოებაზედ** გადავიდა შემდეგი სოფლები ატოცი, ბალთა, ფათქინეთი, მეტეხი, ჭურის-ხევი, ბზის ხევი, ლოპანი, გვირგვინა, წნელისი, კოდა, კოდაოთი, ყობი, ქვრინისი, ქალეთი და აბისის საზოგადოებიდან მიემატა ცერონისი. სულ დგება—1084 კომლი და შეადგენს მათი მომრჩევლები—57 კაცი.

1084 კომლი სწორეთ არაა ნაჩვენები, რადგან ბევრი სულის რაოდენობა მცხოვრებლებისა უსწორმასწოროთაა აღნუსხული.

ოქონის საზოგადოებაში შედის 39 სოფელი, 23-ს სოფელში ბინადრობენ ხიზნები და შეიცავს ადმინისტრაციის გამოანგარიშებით—463 კომლს, რომლებსაც ჰყავთ ამომრჩევლები—25 კაცი.

დანარჩენ 16-ს სოფელში ცხოვრობენ ყოფილი დროებით ვალდებულნი გლეხნი და მოიჯარადრენი, მათი რიცხვი განისაზღვრება 641 კომლით და ჰყავთ 32 ამომრჩეველი.

ოქონის საზოგადოების კანცელარია არსებობს სოფ. ოქონაში.

**აბისის საზოგადოებაზედ** გადადის ატოცის საზოგადოებიდან შემდეგი სოფლები: აბანო, ბრეძა, საციხური და წაღვლი, სულ აბისის საზოგადოებაში ითვლება 865 კომლი.

სასოფლო კანცელარიის გადატანას აპირებენ სოფ. მოხისში, რომელიც ეხლა სოფ. ბერძენაულშია.

ეს შეცდომაა, კანცელარია ცენტრში უნდა იყოს და არა ნაპირას.

**ალისის საზოგადოებაზედ** გადადის ატოცის საზოგადოებიდან შემდეგი სოფლები: ზედა ბროლოსანი, ქვემო ბროლოსანი, ვარძეულა, კლდის ყურო, მურკლის წყარო, სამყვირევი, ტიტვინიძის წყარო და ცხეთის ჯვარი, სულ ამ საზოგადოებაში ითვლება 1021 კომლი.

კანცელარია სოფ. ალში არსებობს.

**დირბის საზოგადოება** ისევ ისე დარჩა, მხოლოთ წუნარის საზოგადოებიდან მიემატა დვანის ტილი და ველეში. ამ საზოგადოებაში ითვლება 680 კომლი.

**ყორნისის და წუნარისა** საზოგადოებები შეერთდა, მხოლოდ ავლევი და დვანი მოხისზედ გადავიდა, ითვლება 1108 კომლი, კანცელარია სოფ. არკნეთში უნდა დაარსდეს.

ვიმეორებ, ავლევისა და დვანის მიწერა შინდისზედ დიდი შეცდომაა, დირბის საზოგადოებაზედ უნდა მიწერილიყო, მით უფრო, რომ ამ საზოგადოებაში მცხოვრებთა რიცხვი ნაკლებია.

(შემდეგი იქნება).

**Legatus.**

გაემგზავრა ზესტაფონის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის გამგე იოსებ გუნცაძე. აღმოჩნდა, რომ ინგლისიდან წამოსული გემი, რომელსაც 24,000 ფუთი შაბიამანი მოჰქონდა, გაყინულა პორტ ალექსანდროვსკის მახლობლად თეთრ ზღვაში. ბ-ნი გუნცაძე მოსკოვიდან პეტროგრადს წავიდა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს დახმარება სთხოვა. მინისტრმა ბძანება გაგზავნა ალექსანდროვსკში, რომ შაბიამანი **ლედოკოპებით** გადმოეზიდნათ ხმელეთზე. გუნცაძეს პეტროგრადში ყოფნის დროსვე ცნობა მიუღია, რომ შაბიამანის ხმელეთზე გადმოზიდვას უკვე შეუდგნენ. დანარჩენი 16.000 ფუთი შაბიამანი ინგლისიდან ვლადივოსტოკში გამოუგზავნიათ. ბ-ნი გუნცაძე ამ ჟამად თბილისში იმყოფება და ცდილობს შაბიამანის გამოგზავნა დააჩქაროს ალექსანდროვსკიდან და ვლადივოსტოკიდან.

**სამშაბათს**, 16 თებერვალს, მეფის ნაცვლის თანაშემწეს თ-დ ორლოვს, დასავლეთ საქართველო თავად-აზნაურობის წინამძღოლს თ-დ ნიჟარაძის მეთაურობით ყოფილ სამეგრელოს სამთავროს თავად-აზნაურთა დეპუტაცია წარუდგა და სამეგრელოს თავარ-აზნაურობის დამტკიცების დაჩქარება სთხოვა. თ-დმა ორლოვმა დეპუტაციას დახმარება აღუთქვა.

**საგანგებო თათბირი.** დღეს, 18 ამა თვეს, საღამოს 8 საათზე, საგუბერნიო გამგეობაში დანიშნული თათბირი შესახებ იმისა, მიმდინარე წლის განმავლობაში მებოსტნეობა გააფართოვონ გუბერნიის ყველა ადგილას. თათბირზე მიწვეული არიან ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციათა წარმომადგენელნიც.

**პოეტი აბაშელი** ცოტა უკეთ გახდა, მაგრამ ჯერ კიდევ დიდ ყურადღებას თხოულობს. როგორც აღნიშნული გვქონდა, ბ-ნმა გ. დიასამიძემ სთხოვა გუბერნიის რავად-აზნაურთა მარშალს თავ. კ. ნ. აბხაზს დახმარება აღმოეჩინა ავადმყოფი პოეტისათვის. თავად აბხაზს ბ-ნ დიასამიძის თხოვნა მოუხსენებია თავად-აზნაურთა საკრებულოსთვის, რომელსაც 200 მან. გადაუდვია პოეტის საექიმოდ. გარდა ამისა გიგო დიასამიძეს დეპეშით ატყობინებს ქუთაისის ქალაქის მოურავი ბ-ნი ი. ჩიქოვანი, რომ ექიმი გ. ი. გოკიელოვი მზად არის ერთი ოთახი უსასყიდლოდ დაუთმოს პოეტს თავისს აგარაკში აბასთუმანშიო. ამასთანავე ქართული საქველმოქმედო საზოგადოებაც უთმობს პოეტს ერთს ოთახს თავის საავადმყოფოში, რომელიც ამ ხანად გაიხსნა ქობულეთში და სხვა დახმარებაზედაც მზად არის. ეხლა საჭიროა ექიმებმა გამოსთქვან თავიანთი აზრი, სად უფრო უმჯობესი იქნება ამ ზამთარში ავადმყოფ პოეტის მოთავსება. აბასთუმანში თუ ქობულეთში.

**ღარიბ მოწაფეთა შემწე** თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების საგანგებო კრება დანიშნულია თებერვლის 21, შუადღის 12 საათზე, ქართულ გიმნაზიის სადგომში. კრება განიხილავს საკითხს „ქართულ კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა კავშირში" წევრად შესვლის შესახებ და აირჩევს 3 რწმუნებულს „კავშირის" კრებებზე ნონაწილეობის მისაღებად.

**ქართველ ხელოსანთა** მე-3 შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობას ამ ჟამად ჰყავს 260 წევრი, რომელთა შორის, 190 კაცი მეთორნეები არიან. 7 იანვრის საზოგადო კრების დადგენილების თანახმად ამხანაგობამ 1 თებერვლიდან გახსნა თავის წევრებისათვის საშუამავლო ოპერაციები, ე. ი. შეუდგა ფქვილისა, შეშისა და მარილის შეძენას. ფქვილი თანდათან მოსდის ამხანხგობას. რადგან ასეთი ოპერაციისათვის დიდი თანხაა საჭირო, 14 ამა თვეს კრება ჰქონდათ ამხანაგობის წევრებს და დაადგინეს, რომ თითო მეთორნე-წევრმა სამი დღის განმავლობაში შემოიტანოს საოპერაციო თანხის გასაძლიერებლად 50 მანეთი. მეთორნეები ფულის შეტანას იმ დღესვე შეუდგნენ. ამხანაგობას ამ ჟამად საქონლის საწყობი აქვს ჩერქეზიშვილის ქუჩაზე, კიდევ აპირობს საწყობების გახსნას ავლაბარს, ვერასა და იარმუკაში.

**სოფლის კოოპერატივის წარმატება.** ლამისყანის (ქართლი) მომხმარებელ ამხანაგობის გამგეობამ მიიწვია წლიურ ანგარიშების შესადგენად ამ საქმის კარგად მცოდნე ბ-ნი გიორგი კანდელაკი. ბ-ნმა კანდელაკმა ანგარიშები შეადგინა, რომლიდანაც სჩანს, რომ საზოგადოებას ნაყოფიერად უმუშავნია და 1500 მანეთი წმინდა მოგება დარჩენია.

**კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკი.** 16 ამ თვეს კრება ჰქონდა ბანკის მთავარ კომიტეტს, რომელსაც დაესწრნენ ბანკის მსხვილი აქციონერები. კრებას თათბირი ჰქონდა შესახებ იმისა, გაიხსნას თუ არა ამ ჟამად ბანკის მოქმედება. კრებამ გაითვალისწინა-რა ეხლანდელი საერთო მდგომარეობა, დროის შესაფერისად საჭიროდ არა სცნო ამ ჟამად ბანკის მოქმედების გახსნა და აგრეთვე წევრების მიერ ძირითადი თანხის 40 პროც. შემოტანაც უდროოდ დაინახა. ამ საკითხების საბოლოოდ გადაწყვეტა კრების აზრით, მიმდინარე წლის მაისის გასვლამდე შეუძლებელია. ეს დადგენილება განსახილველად წარუდგინეს სარაიონო კომიტეტის დელეგატთა კრებას, რომელიც უნდა შესდგეს შაბათს, 20 ამა თვეს. ამ კრებაზე დასასწრებლად უკვე ჩამოვიდა თბილისში სოხუმის სარაიონო კომიტეტის დელეგატი ბ-ნი ან. თ. გალდავაძე.

**ქალაქთა კავშირის კომიტეტი** სადეზინფექციო რაზმს გზავნის სპარსეთში ბ-ნ კალანდაძის უფროსობით.

**შემოიტანეს** თბილისში 16 ამ თვეს: ფქვილი 15 ვაგ., ხილი 1 ვაგ., დამარილებული ხორცი 3 ვაგ., ნავთი 2 ვაგ. გაუწმენდავი ნავთი 9 ვაგ. თეზაფი 1 ვაგ.

## ქუთაისი.

ხუთშაბათს, 18 თებერვალს, ქალაქის თეატრში „ქართული დრამის" ამხანაგობის მიერ ამ სეზონში მესამედ წარმოდგენილი იქნება მგოსნის სანდრო შანშიაშვილის ისტორიული პიესა „უგვირგვინო მეფენი". ამ პიესას ქუთაისის საზოგადოება სიმპატიურად უმზერს და ყოველთვის ესწრება.

— 28 თებერვალს ქუთაისში გაიმართება ერეკლე მეორის გასამართლება.

— ქუთაისში სათეატრო სეზონი დასრულდება 21 თებერვალს, 20 თებერვალს გაიმართება რეჟისორის შ. დადიანის ბენეფისი.

— ქუთაისის გუბერნიის საერობო აგრონომმა კ. პ. დანილევსკიმ კავკასიის სააბრეშუმო სადგურიდან დაიკვეთა 1000 მისხალი აბრეშუმის თესლი, რაც უფასოდ დაურიგდება ქუთაისის გუბერნიიდან ომში გაწვეულთა ულარიბეს ოჯახებს.

— 16 თებერვალს შავი ქვის საბჭოს დარბაზში მოხდა კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლების კრება, ქუთაისში ახალი თეატრის აგების შესახებ. ამ კრების სრული ანგარიში ჩვენს გაზეთში ამ დღეებში იქნება მოთავსებული.

# ყვავილთა წალკოტში

გინახავთ თქვენ სიცხე-პაპანაქებაში მონადირის ხელიდან გამოსხლეტილი, ბარად დაშვებული, დაქასქასებული ირემი, პატარა წარაფის კუდში ანკარა წყაროზე დაწაფებით გულ-გაგრილებული?

გინახავთ თქვენ მკათათვის არდადეგებში ქედწახრილი პერანგის ამარა, საკინძ-გაღეღილი, თავზე წითელ ხელსახოც წაკრული მომკელი, საშუბისტაროზე წამომდგარ მზის აბეზარ სხივებისაგან ტოტებ დაშვებულ კაკლის ხეს რომ შეეფარება და ნეტარის განცდით ასვენებს მოქანცულს კუნთებს?

გინახავთ თქვენ მტვრიან აბეზარ ქალაქიდან ველად გაჭრილი, ყვავილთა მკერდში ჩახუტებული ადამიანი, რომელსაც ნელი სიო ტკბილს ზღაპრებს უტიტინებს და საოცნებო, სანატრელ სურაითებს განაცდევინებს?

გინახავთ თქვენ ოჯახურ კერაზე გულაყრილი ან საზოგადო ფუქსავატობით გაქსუებული გული ღვთაებრივ მუსიკის სმენით კვლავ ქვეყანასთან შერიგებული მომღიმარე, ბედნიერი, იმედებით აფრთოვანებული?!

გსმენიათ ზღაპრული ზღაპარი ადამიანის უკვდავებაზე, სიცოცხლის გარდუვალობაზე, მამულიშვილურ აღტყინებაზე, ადამიანის კაცურ კაცობაზე, მშობლიურ სიყვარულზე, უზენაეს გულისთქმათა მისწრაფებაზე, ღმერთების სიყვარულზე, ქვეყნად ადამიანობის არსებობის აზრზე?.

თუ არ გინახავთ და გსმენიათ, ვერაოდეს ვერ განიცდით ამ იშვიათს ბედნიერებას, თუ არ შესულხართ იმ ყვავილთა წალკოტში, რომელსაც შიოს დილა ეწოდება.

იმ აღრეულ, შავბნელ დროს, როდესაც ჩვენი ქვეყნის კარ-მიდამო ბრძოლის ველზე განწირულთა ხსოვნას მწარე ძაძებში გაუხვევია, როდესაც ყოველი დედის გული დღეში ათასჯერ ელდით დასერილა, როდესაც გარეშე მომდგარი ურიცხვი ბოროტება თავაშვებულა, თავხედად გადულახავს თვით უნაზესი და უალრესი მხარე ადამიანის გულისა, როდესაც ერის ფარისეველ მოზარეთა გლოვა-ტირილი გაისმის და ქვეყანა სამარის კარზე მიუყვანიათ,—საქართველოს დედა ქალაქში, ვიხილეთ წალკოტი, ცოცხალი ყვავილებისა და მათმა უხადო სურნელება თილისმის მკურნალად მოევლინა ჩვენს სულს, სიცოცხლის უკვდავი ნექტარი ასხურა და დაშაშხულ იარას სალბუნებელ მალამოდ მოეცხო.

დიაღ, ჭეშმარიტად, შიოს დილა— ეს ნამდვილი ეროვნული გამარჯვება, იყო! ეს იყო პატარა ერის დიდი ზეიმი! ეს იყო ქართველი ერის სალი, სასიცოცხლო გულის ძგერა.

ამ დღეს ჩვენ თვალწინ გაიშალა ქართველთა მოზარდი თაობის სულიერი თაიგული!

აქ ისმოდა ბავშურად სადა და მხიარული სიტყვა, მუსიკა, თვალწინ გვედგა ქართული მხატვრობა და ქანდაკება, ქართული ენა-ტკბილობა და ენა-მახვილობა, ქართული ცეკვა და ალერსი, ქართველური მშობლიური სიყვარული და სევდა...

ეს დილა პატარა სარკე იყო ქართველი ერის ფართე სულისა!.

ვისაც უყვარს თავისი ქვეყანა, სალოცავად გაუხდია თავისი ერის მერმისი, ვინც თავს ევლება ჩჩვილთა ბედს და მათს გაადამიანებაზე უძილო ღამეები გაუტარებია, მოვალეა ასეთი დილა ხშირად მართოს, ყველგან, ყოველს სოფელში!. ეს იქნება ემბაზი ეროვნული შეგნებისა, ეს იქნება უხინჯო სკოლა ბავშვების სულის განსპეტაკებისა, ეს იქნება გრდემლი კაცად კაცადობის გამომჭედი!.

ბევრი ზეიმი გადაუხდია ქართველ საზოგადოებას, ბევრი ბრწყინვალე დღესასწაული შეუქმნია და ღირსეულად და დიდის რიხით ჩაუტარებია, მაგრამ ეგოდენი უშუამავლო, სისადავით ღვთაებრივი განცდა არ გამოუწვევია დამსწრეთა შორის, რაც შიოს დილამ წაუშლელად აღბეჭდა ყოველი დამსწრეს გულში.

მოვალენი ვართ ასეთი ნეტარი სიამოვნება ვაგემოთ იმათაც, ვინც იმ დღეს ვერ ეღირსა მას. საჭიროა იმავე შემადგენლობით, იმავე პროგრამით გაიმართოს შიოს დილა, არა მარტო სახალხო სახლში, არამედ ქალაქის ყველა უბანში ბავშვებისათვის. ბევრი, ძალიან ბევრი მშობელი და ბავში მოითხოვს ამასა.

საჭიროა ასეთი დღესასწაული დაწესდეს ჩვენს ქვეყანაში და ყველგან, წელიწადში ერთხელ მაინც იმართებოდეს ასეთი დილა ბავშვებისათვის!

შიოს დილა! ბიძია შიოს დილა! ეს არის ეროვნული დღესასწაული! ეს არის უტყუარი თავდები და გამაძლიერებელი ჩვენი ეროვნული შეგნებისა, ჩვენი ადამიანობისა, ჩვენი არსებობის გარდუვალობისა.

მაშ, ნუ მოვაკლებთ ჩვენს ხალხს ასეთს იშვიათს სიამოვნებას, ნუ დაუხშავთ ჩვენს ბავშვებს განვითარებაწინსვლის გზას, რომელსაც ასეთს საღამოებზე იწვევს მეტოქეობა ბავშვის სულის თრთოლისა!

მოვაწყოთ ყველგან, ყოველ წელიწადს შიოს დილა!..

ეს იქნება იმავე დროს უალრესი და მრავალის ტანჯვა-წამებით დამსახურებული ჯილდო „ძია შიოსათვის".

**ნ. კურდღელაშვილი.**

# სიტყვა შიო მღვიმელის დილაზე

ჩვენო შიო!

თბილისის ქართველ ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელთა სახელით გულწრფელად გილოცავ ოცდა ათი წლის სამწერლო მოღვაწეობას.

შენ ჰპოვე ნამდვილად შენი დამამშვენებელი ხვედრი და აღგიზარდე მომავალი თაობა შენი მადლიანი ლექსებითა, რომელიც ისევე, როგორც ქართველი ბავში, ცქრიალა და გულის გამხარებელია.

როგორც დიდმა მოღვაწემ შიო მღვიმელმა გარს შემოიკრიბა ქრისტიანე ქართველობა, ცეცხლის თაყვანის მცემელ მოგვთა მიერ დევნილი, ისევე შენ მოევლინე ჩვენს ბავშვებს მხსნელად გადაგვარებისაგან, რომელიც ბედუკუღმართ ცხოვრებას ყოველ ნაბიჯზე დაუგია ჩვენთვის.

თუ ჩვენი ბავშვები დღეს დაგხარიან და გილოცვენ შენთვისაც, ჩვენთვისაც დიდ დღესასწაულსა, სულ შენი ღვაწლია.

ეს ამბავი ნიშანია ქართლის ბედის განთიადისა, რომელსაც ბრწყინვალე მზე მოჰყვება და გაჰფანტავს მის გარშემორტყმულ ბურუსსა.

ვაშა ჩვენს შიოს!!!

**პეტრე მირიანიშვილი.**

# ღარიბების გვახსოვდეს

„ვარდთა და ნეხვთა ვინადგან
მზე სწორედ მოეფინების,
დიდთა და მცირეთ წყალობა
შენცა ნუ მოგეწყინების".

**შოთა.**

შიო მღვიმელის სადღესასწაულო დილა ჩინებულად ჩატარდა, მისმა მომხიბვლელმა გარეგნობამ და მდიდარმა შინაარსმა ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა. ბევრი სალიტერატურო დილა გვინახავს, მაგრამ არც ერთი ასეთი დიდებული არ ყოფილა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ქართველ ყმაწვილებს ასეთი ყველაფრით შემკული დილა გასართობ-მწვრთნელი ჯერ არ მოსწრებია. სცენაზე მონაწილეობას იღებდა 200-მდი ყმაწვილი, ერთი ამდენიც, თუ მეტი არა, დამსწრეც იქნებოდა, ყველა ამ ყმაწვილების გულში შიოს დილა ნეტარი მოსაგონარი იქნება მოხუცების ჟამსაც. გარდა დაუვიწყარი სიამოვნებისა ეს დილა ყმაწვილებზე დაუფასებელ გავლენას იქონიებს; ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამის შემდეგ ძლიერ ბევრს თავდავიწყებით შეუყვარდება მშობლიური მწერლობა, შეუყვარდება დედა ენა, შეუყვარდება ეროვნული სიმღერა-ცეკვა, ტანისამოსი. ბევრი ყმაწვილი, რომელიც შიოს დილას დაესწრო, მე თვით ვიცი, რომ მშობლებს ეხვეწება გამომიწერე „ნაკადული", „ჯეჯილი", მიყიდე ძია შიოს ლექსებიო და სხვა. ბევრი მშობელი, რომელსაც ბედნიერება ჰქონდა დასწრებოდა შიოს დილას და პირადად განეცადა მშობლიური ნეტარების უმაღლესი გრძნობანი,

ამ დილის შემდეგ უკვე გრძნობს თავს შობილის მიმართ დამნაშავეთ, გრძნობს, რომ მშობელმა შობილს მშობლიური აღზრდა ვერ მისცა და გადაგვარების გზაზე დააყენა შვილი. მრწამს და მჯერა, რომ შიოს დილა დიდ ნაყოფს მოუტანს, როგორც ყმაწვილებს ისე მათ მშობლებს, ვიცი ეს და ამიტომ საჭიროთ მიმაჩნია შიოს დილა გამეორდეს თბილისშივე—სახალხო სახლში. ვიცი ბევრს გაეცინება ჩემ ახირებულ წინადადებაზე და იტყვის სად გაგონილა იუბილეს გამეორებაო. მე მოწინააღმდეგის აზრის არ მეშინია, თუ კი საიუბილეო დილის გადახდას აპირებენ ქუთაისში ბაქოში, გორში და სხვაგან, რა ცოდვა იქნება შიოს დილა გავიმეოროთ აქვე სახალხო სახლში. სახაზინო თეატრსა და სახალხო სახლს სხვა და სხვა მრევლი ჰყავს. ბევრ მუშას მუქთი ბილეთიც რომ მისცე სახაზინო თეატრში მაინც არ ეხერხება მისვლა, სულ სხვაა სახალხო სახლი, რომელშიაც იგი თავს საკუთარ ოჯახში გრძნობს, გარდა ამისა ისიც უნდა მივიღოთ სახეში, რომ სახალხო სახლში ბილეთების ფასიც სახალხო იქნება, მის ყიდვას ღარიბიც შესძლებს. მაშ ვეცადოთ შიოს დილა გავხადოთ ისე სახალხო, როგორც შიოს ლექსებია სახალხო და ყველას მისაწდომი. ჩემს წინადადებას, თუ მიიღებს შიოს დილის მომწყობი კომიტეტი, მაშინ საჭირო იქნება სახალხო სახლში გამეორდეს მხოლოდ ის ნომრები, რომლებსაც სახაზინო თეატრში ასრულებდნენ ყმაწვილები. ერთი სიტყვით შიოს დილა ყველგან უკეთესი შინაარსიანი და საინტერესო იქნება თუ ყმაწვილებს დიდები არ ჩაეცილებიან. გახსოვდეთ ღარიბებიც, გახსოვდეთ მათი შვილებიც და სახალხო სახლში შიოს დილის გამეორებით დაატკბეთ და გაახარეთ ღარიბთა შვილებიც, რომლებიც ვერ დაესწრნენ 14 თებერვალს.

**ა3.—წ.**

# სახელმწიფო სათათბირო

**თავმჯდომარეობს როძიანკო.** საკითხების განხილვის დაწყებამდე სათათბ. დადგენილებით როძიანკო საპასუხო დეპეშას უძღვნის საფრანგეთის პარლამენტის თავმჯდომარეს.—მორიგი საკითხია ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა. მომხსენებელია საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ამხანაგი ფირსოვი პიველი, თვით თავმჯდომარის ალექსეენკოს ავადმყოფობის გამო. მოხსენებიდან სჩანს, რომ 1916 წლის მთელი შემოსავ. ნავარაუდევია 3.022.049.318 მანეთი, ხოლო მთელი გასავალი 3.232. 436. 698 მ. მთელი ხარჯი შემოსავალს აღემატება 221.414.380 მანეთით. ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილი ხარჯები მხოლოდ ნაწილია საერთო ხარჯისა, რადგან მარტო სამხედრო საჭიროებაზედ გასაწევი ხარჯები ერთი სამად აღემატება ჩვეულებრივ ხარჯებს. შემოსავლის შემცირებაში დიდ როლს თამაშობს არყის ვაჭრობის გაუქმება. ამ გზით სახელმწიფოს გასულ 1915 წელში შემოსვლია მხოლოდ 9 მილიონი, მაშინ როდესაც 1914 წელში 689 მილიონი მანეთი შემოუვიდა. საერთოდ რომ ავილოთ ამ წლის განმავლობაში ხარჯი აღემატება შემოსავალს 377.17.142 მანეთს. კერძოდ სამხედრო ხარჯის შესახებ მომხსენებელი შემდეგ ციფრებს იძლევა: 1915 წელს სამხედრო ხარჯი უდრიდა რვა მილიარდს, ამ წელში თუ ომმა ბოლომდე გასტანა, იგი თერთმეტ მილიარდამდე ადის. მთელი ეს ხარჯი უნდა დაიფაროს მთავრობის თამასუქების ე. ი. ქაღალდის ფულის საშუალებით. ამას გარდა მოსალოდნელია და სავარაუდო ახალი ხარჯები, რომელიც პროცენტის სახით ამ ვალების გადახდას უნდა მოხმარდეს, სავარაუდოა სხვა ხარჯები, რომელიც პენსიის და სხვა დახმარების სახით უნდა გაიცეს, სახელმწიფოს ახალი ხარჯები მოელის სამხედრო მასალების და იარაღის დასამზადებელ-გასაკეთებლად. ყველა ეს ხარჯი დიდ ტვირთს დააწვება ხაზინას. ასეთია ფულის მხრივ რუსეთის მომავალი.

შემდეგ მომხსენებელი გადადის რუსეთის ეკონომიურ მდგომარეობაზე. მოხსენებიდან სჩანს რომ რუსეთში დახნულ-დათესილი ნიადაგის რაოდენობა წინა წელთან შედარებით 2 მ. ექვსას ათას დესეტინით ნაკლებია. რუსეთის მრეწველობა ერთი მესამედით შემცირებულა. მომხსენებელს, მომავალის გათვალისწინება მიაჩნია, და იმედს იმაზედ ამყარებს რომ რუსის გლეხს მოკუტვა და შეკუმშვა შეუძლიანო.

ფინანსთა მინისტრი აღნიშნავს რომ შემოსავალზე ნამეტი ხარჯი, 377 მილიონი მანეთი საკრედიტო ოპერაციებით დაიფარებაო. ბიუჯეტის განხილვის დროს მინისტრი განმარტავს თუ რამ გამოიწვია საერთო შემოსავლის შემცირება. ერთ მიზეზად ასახელებს გერმანელების მიერ რუსეთის ტერიტორიის დაჭერას. ხარჯების მეტის მეტად გადიდების გამო ომის შემდეგ, მინისტრის სიტყვით დიდი დეფიციტი იქნება, რომლის დაფარვა ორის გზითა არის შესაძლებელი, ერთია მომჭირნეობა და მეორე განვითარება ქვეყნის საწარმოვო ძალებისა. უმთავრესად მისივე აზრით საჭიროა ხალხში ეკონომიური თვითმოქმედების გაჩაღება. ომის დაწყებისასო, განაგრძობს მინისტრი, ომის ყოველდღიური ხარჯი 10 მილიონ მანეთს უდრიდა ხოლო დღეს იგი 31 მილიონ მანათამდე ავიდაო, რაიც წელიწადში 12 მილიარდს შეადგენს. დღემდე შინაური სესხის შემწეობით რუსეთის მთავრობას ოთხ ნახევარი მილიარდი შემოსვლია. დღეს მას განზრახული აქვს კიდევ ახალი 2 მილიარდის შინაური სესხი გამოაცხადოს.

შემდეგ ილაპარაკეს შინგარევმა, და დემჩენკომ რომლებიც მიემხრნენ გამოთქმულ აზრს და აღნიშნავენ საჭიროებას ქვეყნის საწარმოვო ძალთა განვითარებისას.

# იაპონიის ფლოტის მონაწილეობა გერმანეთის წინააღმდეგ

ტოკიოდან იტყობინებიან, გერმანეთის შეიარაღებულ გემების გაქცევისა გამო, ინგლისმა მიმართა იაპონიას თხოვნით, მიიღოს თავის თავზე სუეცის არხის აღმოსავლეთ წყლების დაცვა. ეს ცნობა და აგრეთვე იანვრისა, რომელშიაც იტყობინებოდნენ იაპონიის მიერ ნაღმოსნების და კრეისერების გაგზავნის შესახებ სუეცის არხში, გვიმტკიცებს, რომ ჩვენს მოკავშირეს კვლავ აქვს სურვილი მოიხმაროს ნაწილი თავის ფლოტისა საერთო მოქმედობისთვის ოკეანეში გერმანელ გემებთა წინააღმდეგ. რადგანაც შესაძლებელია, რომ გერმანული გემები ითარეშებენ წყნარ და ინდოეთის ოკეანეში, სადაც მათი დევნა უფრო საძნელოა ვიდრე ატლანტიურისაში, იაპონელთა დახმარება დიდმნიშვნელოვანია და მათ ხელახლავ შეუძლიათ გაუწიონ მოკავშირეთ ისეთივე დახმარება, როგორიც გაუწიეს ამას წინად 1914 წლის ბოლო თვეებში, მათ მიერ განდევნილი გერმანელების კრეისერები წყნარ ოკეანედან წააწყდნენ ინგლისის ესკადრას ადმირალ სტრიდის ფალკანდელის კუნძულებთან 26 ნოემბერს 1914 წ. სადაც განადგურებულ იქმნენ.

ამგვარ მდგომარეობაში, უნდა ვიიმედოთ, რომ ახლო მომავალში გავიგონებთ გერმანიის ავანტიურის, როგორის ხრიკებითაც არ იყოს მოგონილი,—ლიკვიდაციას.

# საგულისხმო მოვლენანი

რუსეთის საზოგადოების ფართო წრეებში თავი იჩინა მოვლენამ, რომელმაც პრესსა საგონებელში ჩააგდო. საზოგადოებას დაეტყო სურვილი დროს გატარებას, ყველაფრის დამავიწყებელ ლხენასა და ზეიმს მიეცეს. ფუფუნებასა და სიმდიდრისაკენ ლტოლვილებას საზღვარი აღარ უდევს. მართლა განსაცვიფრებელს მოვლენებს ჰქონიათ ადგილი, ძვირფასი ნივთების და ქვების მაღაზიები აუცილებელ სანოვაგეთა საწყობებს მოგაგონებენ თურმე. მათ წინ ხალხი ისე ირევა, თითქოს შაქრისა და პურის მისაღებათ მისულიყოს. ერთ-ერთ ქალაქში, საზეიმოთ მოსული ხალხი დარბაზში, რომ ვერ დატოვილა—გარეთ გაუმართავს ორგიის მსგავსი ნადიმი. ასე ძლიერი ყოფილა ჟინი დროს გატარებისა. კინემატოგრაფები და სხვა და სხვა სანახაობა ხალხს ვეღარ იტევს. ყველაფერი ეს ამ ცეცხლის კიდების დროს მეტად ყურადსაღებია. საზოგადოებამ თავის აზღვავებულ ენერგიას, რომელიც მან გამოიჩინა ომის დასაწყისში ომის მიერ გამოწვეულ ყოველგვარ კეთილ საქმის მოწყობით, დღეს თითქოს სხვა მიმდინარეობა მისცა.

თითქოს დაიღალა, არაქათი დაჰკარგა, ძვალში და რბილში აპატია გაუჯდა საზოგადოებას და თითქოს იგი შველას და ხსნას თავის დავიწყებაში, სანახაობაში ეძებდეს. ამით მწარე სინამდვილეს, მომენტის უალრეს მოთხოვნილებათ მხარს უქცევს. ჭირის დროს ზეიმს ეძლევა.

მართალია, თუმცა როგორც სატახტო ქალაქებიდან იწერებიან ისე არაა, მაგრამ ჩვენ დალოცვილ თბილისსაც და ჩვენს საზოგადოებასაც ეტყობა ასეთი მოვლენის ნიშანწყალი. პირველ საჭიროების სანოვაგე გვაკლია, ბევრი მითი მოვაჭრე მეწვრილმანე ჰკეტავს სავაჭროს და ამავე დროს კი საფუფუნო ნივთებით მოვაჭრე სახლები იხსნება, კინემატოგრაფები და გასართობები აქაც სავსეა. ყოველ ჯურის არტისტის გასტროლი დიდს ფულს იმკის. მდიდარი სამოსელი, ნამეტნავად ქალებისა, თვალს უჭრელებს კაცს. ბუხარის ტყავის პალტოები და ფეხზე ოქროს ბრასლეტები ხშირი მოვლენა გახდა. იცვამს და ხარჯავს არა თუ მარტო ის, ვინც დროს მიხედვით ხელს ითბობს, არამედ ჩვეულებრივი შეძლების კაციც შიგ ერევა საერთო ტალღაში. კარგს არაფერს მოასწავებს ყველაფერი ეს. რომის დაცემის, კალიგულა-ნერონების დროს მოგვაგონებს.

რუსეთის პრესა დიდს ხიფათს ამისაგან გამოელის და უბედურობის თავიდამ ასაცილებლად საკანონმდებლო ძალის ჩარევასაც კი მოითხოვს. მალამოს ერთ ერთ დამდებელ ზომად—ჭეშმარიტების, ქვეყნის მდგომარეობის ნამდვილი სურათის გამოაშკარავებასაც ასახელებს, რათა ყველა დააფიქროს სინამდვილემ და მოვალეობა შეაგნებინოს. მართლა და ასეთი უსარგებლო ხარჯვა, როდესაც ყოველივე გროშს მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის, ასეთს გარყვნას და უსაზღვრო გაუმაძღრობას საჭირო ხელმოჭერილობის დროს, ასეთს საზოგადოებრივს გათახსირებას, ხასიათის გაფუჭებას, როდესაც პირიქით საჭიროა მისი პსიხიკის აღზრდა და გაკაჟება მეტად საგონებელში აგდებს ადამიანს. საზოგადოება ჩაყურყუმელავებული ასეთ უკულმართობის მორევში ძნელად შესძლებს იმ ტვირთის ტარებას, რომელსაც მომენტი ავალებს. არც ჩვენთვის არის უმნიშვნელო ყველაფერი ეს. მეტი სიფხიზლე,—მეტი სიდარბაისლე, მეტი ხელმოჭერილობა ჩვენ უფრო გვმართებს მომავალის კეთილსაყოფად.

# უკანასკნელი ბრძოლა ვერდენთან.

(ვ. მიხაილოვის წერილიდან)

ვერდენის მახლობლად ეს რამდენიმე დღეა გაცხარებული ბრძოლა სწარმოებს. იერიში გერმანეთის ჯარს მიაქვს ვილჰელმის მემკვიდრის ხელმძღვანელობით. მდინარე მაასის მარჯვენა ნაპირზე გერმანეთის შვიდ კორპუსს მიჰქონდა თავგამოდებითი იერიში. ჯერჯერობით არაფერი ითქმის, თუ ეს გაცხარებული ბრძოლა რით გათავდება, მხოლოდ ერთი ცხადია, რომ ამ ბრძოლაში მემკვიდრის მთელი ჯარი იღებს მონაწილეობას და ამ ჯარს ბოლო დროს მაშველი ჯარიც მიუმატეს. პირველ დღის იერიშის დროს გერმანელებმა აიღეს გომონის ტყე და

ახლო-მახლო ფრანგების თხრილები. 10 თებერვალს ფრანგები იძულებული იყვნენ ერთი სოფელი დაეთმოთ და უკან დაეხიათ, ხოლო საღამოთი გერმანელებმა ტყის ბოლოც დაიჭირეს. ამ ბრძოლაში გერმანელებმა დაიჭირეს 6—7 კვადრატიული ვერსის მანძილი ფრანგების მოწინავე პოზიციების, მაგრამ ეს გამარჯვება ფრანგების ცნობით გერმანელებს ძვირად დაუჯდათ. მესამე დღეს ფრანგებმა კვლავ უკან დაიხიეს 2 თუ 3 ვერსის მანძილზე და გაჩერდნენ ვერდენიდან 6 ვერსის სიშორეზე. აქ გერმანელებს კარგი პოზიცია უკავიათ, რადგან ვერდენს ნახევარ რკალივით გარს შემორტყმიან და გერმანელების დიდძალი ჯარი სენმილესთან მდინ. მაასის მარცხენა კიდეზე იმყოფება, რომელსაც შეუძლიან ფრანგების ჯარის გარღვევა. მაგრამ აქ ფრანგები დიდი ხანია ებრძოლებოდნენ და ამ ბოლო დროს 5 დივიზია კიდევ სხვა მიუყვანიათ. ყოფრი ისე არ დადგება, რომ სხვაგან არ მიიტანოს იერიში.

## ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝ
(დასასრული)

**ტრამვაის უსასყიდლო და ფასიანი წლიური ბილეთები.**

კრებამ მოისმინა მოხსენება, შესახებ ტრამვაის წლიური ბილეთებისა. წინად წლიურ ფასიანი წიგნაკი ღირებულა 50 მანეთი, მაგრამ შემდეგ ტრამვაის დირექციას ფასი 72 მანეთამდე აუყვანია. ქალაქის გამგეობა თხოულობს, ეხლაც 72 მანეთი დაწესდეს წიგნაკზე. უფასო წიგნაკები აუარებელი ყოფილა გაცემული: 200 წიგნაკი ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთ ჰქონია, 435—ტრამვაის მოსამსახურეთ, 255—სხვა და სხვა დაწესებულებათა მოსამსახურეთ, მათ შორის გაზეთების თანამშრომელთ. გარდა ამისა, უსასყიდლოდ მოგზაურობენ პოლიციის მსახურნი, წერილებისა და დეპეშების დამტარებელნი და სხვ. უსასყიდლო ბილეთებს ვადა გასვლიათ 1 იანვარს, ააგრამ ბილეთების გამოცვლის ვადა 1 მარტამდე გადაუდვიათ. ეხლა გამგეობა თხოულობდა ამ უსასყიდლო ბილეთების სრულიად გაუქმებას, რადგან აუარებელი ხალხი მუქთად სარგებლობს ტრამვაით და ქალაქის კასა ზარალში ვარდებაო.

საბჭომ ამ საკითხის გადაწყვეტა შემდეგისათვის გადასდვა, მაგრამ გამგეობას დაავალა აღარ გასცეს ახალი უსასყიდლო წიგნაკი.

**სასურსათო საკითხი.**

გამგეობის წევრი **მ. ა. ჯაბარი** ვრცლად შეეხო სასურსათო საკითხს და განაცხადა: სურსათის მოტანა წინანდელზე უფრო გასჭირდა, რადგან ვაგონების რიცხვი ერთობ შეგვიმცირეს; წინად 18 ვაგონს გვაძლევდნენ და ისიც ცოტა იყო, რადგან თბილისში 16 ვაგონი მარტო ფქვილია ყოველ დღე საჭირო. ეხლა ვაგონების რიცხვი 12 ჩამოიყვანეს. ამ გარემოებამ სასურსათო საქმის უფროსიც-კი გააკვირვა. საგანგებო თათბირზე, რომელიც 9 ამ თვეს მოხდა, სასურსათო საქმის უფროსს, ბ-ნს შაშკოვსკის დავალა წარსდგომოდა მეფის ნაცვალს და ვაგონების მომატება ეთხოვა. შაშკოვსკიმ შეასრულა დავალება და 2 ვაგონი მოგვიმატეს, ასე რომ ამ ჟამად ყოველ დღე ერთი მეორეზე 14 ვაგონი გვეძლევა. ფქვილი ჯერ არ გვაკლია, თითქმის ცოტაოდენი შემონახულიც არის, მაგრამ შემდეგისათვის დიდი მზრუნველობა გვმართებს. ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა მოაწყოს საქალაქო ფურნე. ეს საქმე თითქმის მოწესრიგებულია: ჩვენ ფურნეში ყოველ დღე 1.200 ფუთი პურის გამოცხობა შეიძლება. შაქარი თბილისში თითქმის აღარ მოიპოვება, რადგან ის 120.000 ფუთი შაქარი, რომელიც ჩვენთვის იყიდა სასურსათო საქმის უფროსმა, ბ-ნმა შაშკოვსკიმ, ჯერ არ მიგვიღია. იმედი კია, რომ ამ შაქარს ჩქარა ჩაგვაბარებენ. გამგეობა დაწესებულებებს თითონვე მიჰყიდის შაქარს, ხოლო დანარჩენ მცხოვრებთათვის შაქარი გადაეცემა კოოპერატივებს, რომელთა რიცხვი ამ დღეებში 12-მდე ავა. გამგეობას თითონვე უნდოდა სხვა და სხვა უბნებში დუქნების გახსნა სურსათის გასასყიდლად, მაგრამ თითო დუქნის შენახვა ქალაქს 5.000 მანეთი დაუჯდება და გამგეობამ ამიტომ არჩია ყოველივე სურსათსანოვაგე კოოპერატივებს გადასცეს იმ პირობით, რომ საქონელი არა წევრთაც მიჰყიდოს. ქალაქს კართოფილი და სხვა საქონელიც აქვს ნასყიდი, მაგრამ ვერ წამოგვიღია დ იქვე ლპება.

საერთოდ საქმის მდგომარეობა სერიოზულია დ დიდი ფიქრი დ მეცადინეობა გვჭირია. რაღა თქმა უნდა, თავი და თავი მიზეზი საქმის გართულებისა ის არის, რომ საქონელი არ მოდის. მაგრამ ჩვენ რა უნდა გავაწყოთ, ჩვენ ხელთ არ არის ვაგონების განაწილება და საქონლის გადმოტანის მოწესრიგება. ჩვენ რაც გასაკეთებელი იყო, გავაკეთეთ: საწყობები დავიქირავეთ, მაგრამ ცარიელებია, რადგან არა თუ იქ დასაწყობი და შესანახი, არამედ სამყოფიც არ მოგვდის; ყოველგვარი საქონელი ნასყიდი გვაქვს და შედარებით იაფათაც, მაგრამ წამოღება ვერ მოგვიხერხებია.—შემდეგ ორატორმა, განაგრძო რა თავისი სიტყვა, განაცხადა, რომ კავკავის რკინის გზებზე დაუბრკოლებლად მიდი-მოდის საქონელი, მაგრამ ვაგონები სადგურ დევიჩაიაში (ბალაჯარს იქით პირველი სადგური) რომ მოვა, იქ იყინება, იმას აქეთ ვაგონებს აღარ უშვებენ, ასე რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზა აღმოჩნდა მოუმზადებელი საქონლის ზიდვაშიო. ამიტომ ბ-ნმა ჯაბარმა ურჩია კრებას დაავალოს ქალაქის მოურავს წარუდგეს დიდ მთავარს, მეფის ნაცვალს და საქმის ვითარება მოახსენოს და დახმარება სთხოვოსო.

**ხმ. ბაბოვი** ფიქრობს, რომ ერთნაირი გასაჭირი ადგია კავკასიის ყველა კუთხეს, ამიტომ, მისის აზრით, აუცილებლად საჭიროა მოწვეულ იქმნან კავკასიის ყველა ქალაქების წარმომადგენელნი სათათბიროდ და შეერთებულის ძალ-ღონით გამოიძებნოს საშუალებანი ეხლანდელ პირობის წინააღმდეგ.

**ხმ. ი. მ. დოლუხანოვი** საჭიროდ სთვლის ჯერ-ჯერობით გამოირკვას, თუ სხვა და სხვა საქონელი რამდენია გადამალული თბილისში, ამიტომ უნდა გაიჩხრიკოს საქონლის საწყობები და მაღაზიები. რა უნდა უპასუხოთ მეფის ნაცვალს, რომ შეგვეკითხოთ,—რამდენი საქონელია ამ ჟამად თბილისშიო; ანუ კიდევ რათ გვინდა ისეთი საქონლის მოტანა, რომელიც, შეიძლება, აქაც საკმაოდ არის მიმალული. ამასთანავე ორატორს აკვირვებს ბ-ნ ჯაბარის მოხსენების ზოგიერთი ადგილი, სადა ის ამბობს, რომ „თითქმის არისო“, „თითქმის მზად არის“, და სხვ. სიტყვა „თითქმის“ ბ-ნ დოლუხანოვს არ ესმის, ის არაფერს არ ნიშნავს. ორატორის აზრით, ეს ორჭოფული განცხადება უფრო რევს საქმეს; საჭიროა ნათლად და გადაჭრით იყოს ნათქვამი, თუ რა გვაქვს და რამდენი და კიდევ რა არის საჭირო და რამდენი.

**ა. მ. ჯაბარი.** გადამალულ საქონელზე ლაპარაკი ზედმეტია. გადამალული რა უნდა იყვეს, როცა სამყოფი საქონელიც არ მოდის. წელიწად ნახევარია, რაც უტყუარი სტატისტკური ცნობები ხელთა გვაქვს ყოველ დღე, თუ რა და რა საქონელი და რამდენი შემოდის ყოველ დღე თბილისში; ამასთანავე ისიც ვიცით, თუ რამდენი სურსათი უნდა დაიხარჯოს ყოველ დღე. ამ ცნობების მიხედვით თბილისში არავითარი საქონელი არ არის შემონახული. ანუ კიდევაც რომ ვისმეს ჰქონდეს დამალული 10 ანუ 100 ფუთი ერბო, გინდა კარტოფილი, განა ეს რამეს გვიშველის?

**ა. ი. ხატისოვი.** თავი და თავი მიზეზი ეხლანდელ კრიზისისა ის არის, რომ ამიერ კავკასიის რკინის გზა საქონლის მოტანას აძნელებს. მე ვიშუამდგომლე, რომ ალსტაფას აქეთ მეორე ლიანდაგი დაეგოთ, მაგრამ მიპასუხეს, რომ ეხლა რელსები სადა გვაქვსო; ვიშუამდგომლე, რომ საქართველოს სამხედრო გზატკეცილით გვესარგებლნა საქონლის გადმოსაზიდად, მაგრამ მიპასუხეს, რომ ავტომობილები არა გვაქვსო, ვიშუამდგომლე, რომ შავი ზღვით მოგვეტანა საქონელი ფოთსა დ ბათომამდე, მაგრამ მიპასუხეს, რომ შავი ზღვის ფორტების მომწესრიგებელი მოხელე რას იტყვის ამის შესახებ, არ ვიციო; ვიშუამდგომლე, რომ ქალაქის წარმომადგენელს მონაწილეობა მიეღო იმ კომისიაში, რომელსაც დავალებული აქვს ვაგონების განაწილება და საზოგადოდ საქონლის გადმოზიდვის შესახებ საქმის წარმოება, მაგრამ მიპასუხეს, რომ ეს არ შეიძლება, იქ ხშირად საიდუმლო საქმეე წყდება და გარეშე კაცს ვერ მივიღებთო. ამის გამო, ორატორის აზრით, ერთად ერთი გზა ის არის, რომ მეფის ნაცვალს მიმართოს ქალაქმა და შველა სთხოვოს.

საბჭომ მიიღო ჯაბარის წინადადება დაევალოს ქალაქის მოურავს წარუდგეს მეფის ნაცვალს და გააცნოს საქმის დღევანდელი ვითარება.

## ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

**კ ა ხ ე თ ი**

11 და 12 თებერვალს მთელს კახეთში გადაუღებლივ თოვდა, თოვლი დიდი არ დასდო მაგრამ მაინც დიდი ღვთის წყალობაა მისავლისათვის.

— ხუთშაბათს, 11 თებერვალს, თელავში მობრძანდა ალავერდის ეპისკოპოსი პიროსი.

**სად. ჯუმათი.**

5 თებერვალს ადგილობრივი სამკითხველოს შენობაში გაიმართა ებალაურის წიგნთ-საცავ სამკითხველოს წევრთა კრება. როგორც გამგეობის მოხსენებიდან გამოირკვა, სამკითხველოს მოსვლია შემოწირულება, სხვა და სხვა ადგილებიდან 239 მან. აგრეთვე მოსვლია წიგნები და სხვა და სხვა საჭირო ნივთები ღირებული 80 მან. დახარჯულა 1915 წ. განმავლობაში 85 მან. სამკითხველოს დარჩა ფულად და საჭირო ნივთები ღირებული 229 მან. აღნიშნული ანგარიში კრებამ მიიღო და დაამტკიცა.

**დ. ო ნ ი.**

ახლო მომავალში აქ ეპირებიან კოოპერატიული სავაჭროს გახსნას ორ ადგილზე. ერთს ს. მაიდანში და მეორეს დ. ონში.

**დ. ახალსენაკი.**

8 თებერვალს მოხდა ქართული საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილების გამგეობის მორიგი სხდომა. გამგეობამ მოკლედ გაუკეთა ანგარიში თავის მოღვაწეობას დღიდან დაარსებისა.

**დ. სამტრედია.**

2 თებერვალს მოხდა სამტრედიის საქველ. საზ. განყოფილების საზოგადო კრება. კრებას დაესწრო 22 წევრი. განყოფილებაში ჯერ-ჯერობით ითვლება 49 წევრი. კრების საგანი იყო: გამგეობის მოხსენების განხილვა და დამტკიცება, აგრეთვე მომავალ სამოქმედო გეგმის შემუშავება.

**ს. აბეთადი.**

იანვრის უკანასკნელ რიცხვებში მოხდა საკრედიტო ამხანაგობის წევრთა საზოგადო კრება. კრებას დაესწრო 600 კაცამდე. გაირჩა მხოლოდ მომხმარებელთა კოოპერატივის საკითხი.

**სამება** (გურია).

7 თებერვალს მოხდა სამების მომხმარებელი საზოგადოების „სარგებლობის“ წლიური კრება. კრებაზე განიხილეს: გასულ წლის ანგარიში, გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევა და სხვა.

**ლეჩხუმი.**

რაჭა-ლეჩხუმის საზღვარზე—ჭრებალოში შესდგა ორთავე მაზრის რამდენიმე მომხმარებელი საზოგადოებები, რომელნიც ამ მოკლე ხანში მოქმედებას დაიწყებენ.

**ს. ნოსირი** (სენ. მაზ.).

7 თებერვალს მოხდა ადგილობრივი საკრედიტო ამხანაგობის წევრთა საზოგადო კრება. კრებაზე განიხილეს წარსული წლის ანგარიში, კრებამ მიიღო ანგარიში და დაამტკიცეს.

**გორის მაზრა.**

დაბა ცხინვალში ებრაელ მოშე ბინიაშვილის დუქნიდან უცნობმა ბოროტმოქმედმა გაიტაცა სხვა და სხვა საქონელი და ფული სულ 500 მანეთისა.

**დ. ხონი.**

კოოპერატიულმა დუქანმა ამ რამდენიმე დღის წინად ერთი ვაგონი ფქვილი მიიღო.

— ბოქაულმა დააწესა შემდეგი ნიხრი პურზე: წითელი უნდა გაიყიდოს ოყა (სამი გირვანქა) 19½ კაპ. და თეთრი 22 კაპ.

**სიღნაღის მაზრა.**

ქობალის ხევში ოთხმა შეიარაღებულმა ბოროტ-მოქმედმა გაძარცვა სერგო ყოჩიაშვილი და სიკო ბაგაური, რომელთაც წაართვეს 52 მანეთი ფულად და ტანისამოსი.

**გ ო რ ი.**

ი. კერესელიძემ უკვე დაბეჭდა ვაჟაფშაველას პოემა „ალუდა ქეთელაური“ წიგნი საცენზურო კომიტეტს გაეგზავნა და ამ ერთ კვირაში გამოვა გასასყიდად.

— ბაზრის მეთვალყურემ 13 თებერვალს ოქმი შეუდგინა ყასაბ მამასახლისოვს, რომელმაც გირვანქა ხორცი 25 კაპ. გაჰყიდა.

## ᲛᲐᲰᲛᲐᲓᲘᲐᲜᲗᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

მაჰმადიანთა ჩხრეკა და დატყვევება რუსეთში კვლავ გრძელდება. გაზეთ „სოზ“-ის სიტყვით 29 იანვარს გაჩხრიკეს აბიბ-ზადე-ეფენდი, რომელსაც უპოვეს ხელთ ნაწერები, შემდეგ თვითონაც შეიპყრეს. აგრეთვე გაჩხრიკეს მაგომედ-ემინა შახ-მაგამედოვის ბინა, წაიღეს 600 მან. ფულათ, ოქრო, ვერცხლი, და ხელთ ნაწერები მაჰმადიანთა ენაზე. შემდეგ გაჩხრიკეს აბიბ-ზადეს სასტუმრო და შახ-მაგამედოვის მაღაზია, სადაც ვერა იპოვეს რა. ჩხრეკის შემდეგ აბიბ-ზადე და შახ-მაგამედოვი გაანთავისუფლეს. მხოლოთ მეორე დღეს აბიბ-ზადე ისევ შეიპყრეს.

— 30 იანვარს პოლიციამ გაჩხრიკა კერამ ეფენდი, ომარ-ეფენდი და მოვაჭრე სემი-ულა რომელნიც შეიპყრეს.

— ომსკიში იმავე გაზეთის ცნობით. შეიპყრეს მოვაჭრე ფაიზი-რახმანი რომელსაც უპოვეს ხელთ ნაწერები რუსულ-მაჰმადიან ენაზე. გაჩხრიკეს აბდურ-რახმან-ეფენდიც.

— ამდამიდამ ატყობინებენ გაზეთ „ენი-იღბალს“, რომ შუშის მაზრაში გაჩნდა ახალი სენი რომლითაც იწირება მრავალი მსხვერპლი ექიმებისთვის ავადმყოფობა ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

## ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

მოსკოვში საშინელი სიძვირეა ხორცისა. ხორცის სავაჭროების წინ აუარებელი ხალხი სდგას და ჯერს ელის. ზოგს მთელი დღით დგომა უხდება. საშინელი ხმა ვრცელდება მოსკოვში: ერთის თვის შემდეგ ხორცი სრულებით აღარ იქნებაო. ზოგი აუარებელ ხორცს ყიდულობს, ჰმარილავს და ინახავს. ზოგიც დიდის სარგებლობით სხვაზე ჰყიდის. ამ ორი დღის განმავლობაში ხორცის [illegible] ფასმა ზღაპრულად [illegible]

## ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

**თბილისი.**

სამშაბათს 16 თებერვალს სახალხო სახლში მსახიობთა ამხანაგობამ წარმოადგინა „მადამ სანჟენ“. წარმოგენამ კარგად ჩაიარა, ხალხი ბევრი დაესწრო.

— კვირას, 21 თებერვალს, ნაძალადევის თეატრში გაიმართება ელ. ჩერქეზიშვილის საპატივსაცემო წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება აქვს. ცაგარლის „ხანუმა“.

**ქუთაისი.**

შაბათს, 13 ს და კვირას 14 თებერვალს ქალაქის თეატრში, ქართველ მსახიობთა ამხანაგობამ, ნ. ჩხეიძის მონაწილეობით წარმოადგინა „და ბეატრისა“ და „ღალატი“, ორივე წარმოდგენას ხალხი მრავალი დაესწრო.

— მარტის პირველ რიცხვებში, ქუთაისში გაიმართება შიო მღვიმელის საპატივსაცემო დილა.

რედაქტორ-გამომცემელი
**ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲨᲐᲜᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

### ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲡᲕᲚᲐ.
**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲘᲡ:**

| | | № | ს. წ. |
|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. მ. | 9 | 8.53 სა.ღ. |
| „ | საფ. „ | 3 | 9.58 დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. „ | 19-20 | 3.20 ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი „ | 4 | 10.20 საღ. |
| „ | ჩქარი „ | 6 | 12.8 დღის |
| „ | სამგ. „ | 8 | 11.13 ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | 11.13 ღამ. |

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲝᲓᲘᲡ:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. მ. | 4 | 9.30 საღ. |
| „ | სამგ. „ | 10 | 9.51 დილ. |
| ბაქოდან | საფ. „ | 3 | 9.3 დილ. |
| „ | ჩქარი „ | 5 | 7.41 საღ. |
| „ | სამგ. „ | 7 | 1.42 ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. „ | 19-20 | 7.25 დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | 8.8 დილ. |

### კახეთის რკინის გზის მიმოსვლა
(თბილისის დრო)

**ᲛᲘᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ ᲡᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲡ.**

**თბილისიდან გადის:**

| | |
|---|---|
| ტფილისიდან | 8 ს. 58 წ. დილ. |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 „ 23 „ „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 „ 43 „ „ |
| ვაზიანიდან | 10 „ 42 „ „ |
| იორიდან | 11 „ 35 „ „ |
| საგარეჯოდან | 12 „ 17 „ „ |
| ბადიაურიდან | 1 „ 15 დღის |
| მელაანიდან | 2 „ 37 „ „ |
| გურჯაანიდან | 4 „ 08 „ „ |
| ვაჩნაძიანიდან | 4 „ 58 „ „ |
| თელავში მიდის | 5 „ 35 „ „ |
| გურჯაანიდან | 4 „ 18 „ „ |
| კარდენახიდან | 4 „ 50 „ „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 „ 15 „ „ |

**Თ Ე Ლ Ა Ვ Ი Დ Ა Ნ**

| | |
|---|---|
| თელავიდან | 8 ს. 58 წ. დილ. |
| ვაჩნაძიანიდან | 9 „ 45 „ „ |
| გურჯაანიდან | 10 „ 46 „ „ |
| მელაანიდან | 12 „ 02 „ „ |
| ბადიაურიდან | 1 „ 13 დღის |
| საგარეჯოდან | 2 „ 15 „ „ |
| იორიდან | 2 „ 53 „ „ |
| ვაზიანიდან | 3 „ 40 „ „ |
| ნავთლუღ-კახეთ. | 4 „ 31 „ „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 4 „ 46 „ „ |
| თბილისში მიდის | 5 „ 01 „ „ |
| წნორის-წყლიდან | 9 ს. 16 წ. დილ. |
| კარდანახიდან | 9 „ 46 „ „ |
| გურჯაანში მოდის | 10 „ 16 „ „ |

**Წ Ი Გ Ნ Ი Ს Მ Ა Ღ Ა Ზ Ი Ა**
„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ“ („Новая рѣчь“).
**Ი. Დ. Კ Ი Კ Ნ Ა Ძ Ი Ს Ა.**
თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.
გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

ᲗᲔᲕᲖᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲜᲘ
ᲫᲛ. ᲫᲔᲒᲕᲔᲚᲝᲕᲔᲑᲘ
**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**
ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲐᲕᲚᲐᲑᲐᲠᲨᲘ
**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვით**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „„**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ᲯᲐᲜ-ᲒᲐᲢᲔᲮᲘᲚ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲣᲡᲢᲔᲑᲣᲚ
ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲔᲑᲡ

თუ ავადმყოფობთ და ქრონიკულ სნეულებით იტანჯებით, თუ ჯან-გატეხილი ხართ, ღონე გამოლეული, ნერვებ აშლილი, სისხლ ნაკლები, თუ თქვენი სხეული ნაწლევების შხამით არის მოწამლული, თუ საშარდე ბუშტის სიმჟავე გაქვთ დაგროვებული და თავის ტკივილი გტანჯავთ, თუ სახსრების ქარები გაქვთ, ხერხემლის ტვინის სიდამბლე (ტაბეზი), საერთო სისუსტე, ქრონიკული სიყაბზე, კუჭის მოშლილობა, ბუასილი, სქესობრივი უძლურება, ქრონიკული და გაარჯლებული სუსუნატი, **წაიკითხეთ ეს წერილი და მოგვმართეთ ჩვენ.** თუნდაც ჩამოთვლილ სნეულებით არ იტანჯებოდეთ, მაინც წაიკითხეთ თქვენი მშობლებისა, ნაცნობებისა და მახლობლების გულისათვის. ბევრი ამ წერილს ვერ წაიკითხავს და არც ეცოდინება, თუ როგორ შეიძლება ამ სნეულებათაგან განთავისუფლდეს. თქვენ კი წაკითხულს გაუზიარებთ, ურჩიეთ და როდესაც განიკურნებიან სამუდამოდ მადლიერნი დაგრჩებიან. დასთესეთ კეთილი, ბოროტება დაიმორჩილეთ, ცხოვრების საძირკველი სიკეთე უნდა იყოს.

მეოცე საუკუნემ ათასი საოცარი გამოგონება მოგვცა. ამ ათიოდე წელიწადში მეცნიერებამ იმაზე მეტი შეგვძინა, რაც წინა საუკუნოებმა.

მედიცინამ, სნეულების მკურნავმა მეცნიერებამ, საპატიო ადგილი მოიპოვა მტერ ბუნებასთან კაცობრიობის გენიის ბრძოლაში

ჩვენ ვალდებულად ვთვლით საზოგადოებას გავუზიაროთ უფრო გავრცელებულ სნეულების წარმომშობი მიზეზები და მათი სამკურნალო წამლობა. ურიცხვია ადამიანის მტანჯველი და მკვლელი სნეულება. მათ აღნუსხვას მთელი წიგნებიც მოუნდებოდა. ჩვენ იძულებულნი ვართ შევეხოთ უფრო გავრცელებულ სნეულებათ, რომელნიც უფრო მეტს ადამიანს იწირავენ მსხვერპლად. მილიონი ხალხია ათასგვარ სნეულებით დაავადმყოფებული, არ იციან რით დ როგორ იწამლონ, არა აქვთ საკმაო ფული, ხშირად ტყუილ-უბრალოდ ერცხვინებათ ექიმთან მისვლა, სნეულებას აძველებენ, მის განკურნებას აძნელებენ და ხშირად შეუძლებლადაც ჰხდიან. ხშირად ამას ადგილობრივი პირობებიც ხელს უწყობს: სადმე მიყრუებულ ადგილას მობინადრეს ხელი არ მიუწვდება ექიმთან მისვლისათვის და ახლო კი არავინ არის რომ მიჰმართოს. ხშირად ავადმყოფი სწამლობს კიდეც თავს, მაგრამ ვერ განიკურნება და გარეგნულად მორჩება. მაშინ სნეულება შიგნით იწყებს მუშაობას, ქრონიკულ სნეულებად გადიქცევა და ძნელიღაა მისი მორჩენა, ხშირად იმდენად გართულდება საქმე, რომ სნეულება ადამიანს სამარის კარამდე მიიყვანს.

რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფ ურიცხვ ავადმყოფს დახმარება გაუწიოს, **საერთაშორისო მედიკო-ფარმაცევტიულმა დეპომ** მიზნად დაისახა ისეთი წამლები შეიძინოს, რომელიც ავადმყოფს არც დიდს დროს მოსთხოვს წამლობისათვის და არც დიდს ხარჯს, ხოლო სახლშივე თვითონ იწამლებს იმ უებარი წამლებით, რაც კი მედიცინას დღევანდლამდე გამოუგონია.

ყველა ქვემო აღნიშნული საშუალება ევროპის მეცნიერთა ხანგრძლივი და მუყაითი შრომის ნაყოფი, ამ წამლების გავლენა შემოწმებულია მრავალ ლაბორატორიაში, კლინიკებში ავადმყოფთა წამლობით, საუკეთესო პროფესორებისა, ექიმებისა და მსოფლიოდ ცნობილ მეცნიერების მიერ.

ვიმედოვნებთ, რომ ამ წერილის დაბეჭდით, ჩვენ დაუფასებელ სამსახურს გავუწევთ ბევრს გატანჯულს ავადმყოფს და მხოლოდ ამისი შეგნებაც საკმარისი ჯილდოა ჩვენის შრომისათვის.

სრულის პატივისცემით **ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ-ᲡᲐᲤᲐᲠᲛᲐᲪᲔᲕᲢᲝ ᲓᲔᲞᲝ.**

საუკეთესო, ნაცადი წამლების მისაღებად ექიმის რეცეპტი არ არის საჭირო, რადგანაც ნება დართულია სამკურნალო საბჭოსაგან, კლინიკაში ნაცადია, მეცნიერულად შემოწმებული, საუკეთესო პროფესორებისა, მკურნალებისა და ურიცხვი ავადმყოფებისაგან მოწონებულია.

1. ქრონიკულ სუსუნატის, რამდენიც ტანჯვა უნდა აგეტანოთ, ნამდვილად მორჩებით 25 დღეში.—ფასი 16 მან.

2. გაარჯლებულ სუსუნატის მორჩენა—12 მ. 50 კ.

3. ნერვების აშლილობასა, სქესობრივ უძლეჯობასა, ჯანის დაკარგვისა, სისუსტისა, გამოფიტვისა, სისხლ ნაკლებობისა და ადრეული დაჩანაკების წამლობა—2—3 კოლოფი, ფასი 9 მ. 75 კ.

4. წამლობა ყოველგვარ ბუასილისა—2—3 კოლოფი წამალი—5 მ. 35 კ.

5. წამლობა სიყაბზისა, კუჭის მოშლილობისა, ნაწლევების ატონისა, ფილტვების გასასისა, 1—2 კოლ.—ფასი 4 მ. 30 კ.

6. წამლობა ქარებისა, ნეკრესის ქარებისა, სახსრების ტეხვისა, თირკმელების ავადმყოფობისა, ღვიძლისა, საშარდე ბუშტისა, შაქრის ავადმყოფობისა—3—4 კოლ. ფასი 4 მ. 85 კ.

7. ბევრი, სუსუნატით ავადმყოფობის შემდეგ, იტანჯება საშარდე ნაწილთა მოშლილობით, შარდზე მიდგომის დროს ქავილსა და წვასა ჰგრძნობს, საშარდე ბუშტს იტკივებს და სხვ. წამ.—ფასი 6 მან. 50 კ.

8. წამლობა ფილტვების სნეულებათა, სასუნთქ ასოთა მოშლილობისა (კატარი), ჭლექისა, ბრონხიტისა—ფასი 5 მან.

მიზნად დავისახეთ ზემოხსენებული წამლები გავავრცელოთ, რადგანაც გვინდა საზოგადოებამ ახალ-ახალი წამლით ისარგებლოს და არა ყალბი მიბაძულობით და თვითონვე სამართლიანი აზრი იქონიოს მათ გავლენაზე.

ამისათვის მსყიდველისათვის ხელსაყრელია პირდაპირ ჩვენ მოგვმართოს, რადგანაც მხოლოდ ჩვენგან მიიღებს ახალს, ყოველივე სიყალბის გარეშე მყოფ წამალს.

ყოველ შეკვეთას ვასრულებთ დაუყოვნებლივ, იმავე დღის ფოსტით. ვინც ფულს წინდაწინვე გამოგზავნის, წამლის გასაგზავნს აღარ გადიხდის. ფასდადებით ვგზავნით მხოლოდ 3 მანათის მიღების შემდეგ, ფულის გამოგზავნა საფოსტო მარკებითაც შეიძლება დაზღვეულის წერილით.

უბეოდ შეკვეთილს წამალს არა ვგზავნით.

შესაკვეთი მისამართი: Интернац. Медико-фармацевтическое депо. Тифлисъ, Эриванская площ. Пушкинская № 3. отд. с/2.

დეპეშისათვის: Тифлисъ—Фармацевтикъ.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან
სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გამგეის შესახვევი № 4.